# ახალი განათლება

20-26.12.2018

№39 (833) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge


# „სამასწავლებლო“ ურთულესი გამოწვევის კრიზისი



გვერდი 4

✓ მხოლოდ სკოლაა ის ინსტიტუცია, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებას, თუმცა, ნელ-ნელა ეს ფუნქციაც იშლება, რადგან ყველას ქალაქისკენ უჭირავს თვალი, იმიტომაც სჭირდება სკოლას განსაკუთრებული ხელშეწყობა, რომ სოფელი მიგრაციისგან დავიცვათ.

✓ ძალიან ხშირად, არ იციან მცირეკონტინგენტიანი და მთის სკოლების გასაჭირი, სათანადოდ ვერ აფასებენ რა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას დღეს სოფლის სკოლის მასწავლებელი. ქალაქის საზომით გაზომვა კი მას წარმატებას ვერ მოუტანს. ამიტომ სულაც არ მიკვირს, ქალაქელი მასწავლებლის წარმატებები.

✓ სოფლის მასწავლებელი არ უნდა გრძნობდეს ქალაქელი მასწავლებლის უპირატესობას იმის გამო, რომ თვითონ სოფელში დაიბადა და იქ ასწავლის. პროფესიული განვითარება ადგილზე ცენტრის ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს. სხვა შემთხვევაში, ისევ გავა წლები და ისევ გამოწვევად დარჩება მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.


ეკატერინე წულუკიძე

ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი


---

**მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია**

## დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები სკოლაში

გვერდი 2

**პედაგოგთა დასახმარებლად**

## ფრთხილად, კლასში პროგრამისტია!

## როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გენეტიკური ამოცანების ამოხსნა

## თაობის სათქმელი (ინგლისური ენის გაკვეთილზე)

## კონსტანტინე I დიდი და ახალი რელიგია

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთლის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის ნონა პროსიანის სამოდელო გაკვეთილი



## პითაგორას თეორემა

## Պյութագորասի թեորեմ




გვერდი 6

## მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია

# დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები სკოლაში

ლალი ჯელაძე

ამ სახელწოდებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა მეექვსე ეროვნულ კონფერენციას, ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა. კონფერენციის მიზანი მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება და ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება იყო. მონაწილეებმა ისაუბრეს თემებზე: როგორ დაიცვან ბავშვები ციფრულ სამყაროში, რა ღონისძიებების გატარება შეიძლება ბულინგისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა თანამედროვე ტექნოლოგიები საინტერესო გაკვეთილისთვის და ა.შ.

*„თქვენ, მასწავლებლები, ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელი ადამიანები ხართ მთელ საგანმანათლებლო სისტემაში და მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ უანგაროდ ემსახურებით ყველაზე მნიშვნელოვანს – ჩვენს ბავშვებს და მათ მომავალს.* – განაცხადა კონფერენციის გახსნისას **მიხეილ ბატიაშვილმა**. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეექვსე კონფერენცია „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს" ეძღვნება და ამ კუთხით მასწავლებლები საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას შეძლებენ, ამასთან, მასშტაბები გაიზარდა, რადგან კონფერენციაში საერთაშორისო ექსპერტებიც მონაწილეობენ. *„თემატიკა მნიშვნელოვანია და პრობლემურ მიმართულებებს მოიცავს – ეხება ბულინგის პრობლემების გადაწყვეტას, ინტერნეტსივრცეში ბავშვების უსაფრთხოებას და ა.შ. ყველა ეს პრობლემა როგორც თბილისის, ისე რეგიონების პედაგოგებისთვის, იქნება უმნიშვნელოვანესი, რადგან საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს მოისმენენ და იფიქრებენ პრობლემების გადაჭრის გზებზე. დღევანდელი დღე იმითაც არის განსაკუთრებული, რომ ჩვენი პედაგოგი ლადო აფხაზავა, გლობალური ჯილდოს მიერ შერჩეულ საუკეთესო 50 მასწავლებელს შორის მოხვდა. ეს უზარმაზარი წარმატებაა, ვულოცავ ლადოსაც და ყველას ამ საერთაშორისო აღიარებას.*

*დაანონსებული რეფორმის ფარგლებში, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სასკოლო ცხოვრება უფრო საინტერესო, კიდევ უფრო ეფექტური გახდეს და თქვენი პროფესია მეტად იყოს დაფასებული. ვფიქრობ, ჩვენს პედაგოგებს კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა ექნებათ, რომ რაც შეიძლება საუკეთესო პირობები შევუქმნათ და ყველაფერი მიმართული იყოს სკოლებში სწავლების ხარისხის განვითარებაზე.“* – აღნიშნა მინისტრმა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, **ბერიკა შუკაკიძის** აზრით: *„რაც უფრო ადრე დავიწყებთ ბავშვებთან დემოკრატიულ კულტურაზე საუბარს, რა თქმა უნდა, მით უფრო ეფექტიანი იქნება როგორც სკოლისთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის დემოკრატიული კომპეტენციების კულტურის დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენციების ჩარჩო ფოკუსირებულია არაძალადობრივ და არადისკრიმინაციულ სასკოლო გარემოზე. ყველას გვახსოვს გასული წლის ტრაგიკული მოვლენები მოზარდთა ბულინგის შესახებ და ამიტომ რაც უფრო ადრეული ასაკიდან დავიწყებთ სკოლაში ამ საკითხებზე აქცენტების გაკეთებას, მით უფრო შევუწყობთ ხელს ბულინგის, განსაკუთრებით გავრცელებული კიბერბულინგის, შემცირებას. რესურსები, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა, ფოკუსირებულია სწორედ მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე. ჩვენ მთელი ქვეყნის მასშტაბით დავიწყებთ მასწავლებელთა ფართომასშტაბიან გადამზადებას ამ მიმართულებით, შევეცდებით, წავახალისოთ პედაგოგები, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ პროექტის დანერგვაში.“*

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო გულისხმობს ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას – ადამიანის ღირსებებისა და უფლებების, კულტურული მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობებისადმი, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებებისათვის მზაობა, პატივისცემა, მოქალაქეობრივი აზროვნება, პასუხისმგებლობა, თავდაჯერებულობა, განსხვავებულისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი **ტურბიონ იაგლანდი** ამბობს, რომ *„კომპეტენციათა ჩარჩო საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, მოარგონ ისინი საკუთარ საჭიროებებს და მხოლოდ მათი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ კულტურულ კონტურებს.“*

*ამ ჩარჩოს საშუალებით, მასწავლებლები შეძლებენ, შთაუნერგონ მოსწავლეებს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა შემწყნარებლობა და სხვების პატივისცემა, რათა ჩამოუყალიბდეთ როგორც საკუთარი უფლებების, ასევე სხვათა მიმართ პასუხისმგებლობების აღქმა“.*

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს" დანერგვის ხელშემწყობი სახელმძღვანელოების, ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული სამტომეულის ქართული თარგმანების პრეზენტაცია.

დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების სწავლების პროგრამის მენეჯერმა, **ნათია ნაცვლიშვილმა** დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვასა და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ძირითად თემებზე ისაუბრა და კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ევროპის საბჭოს ახალი საგანმანათლებლო კამპანია „Free to Speak, Safe to lern".

*„მიუხედავად იმისა, რომ მთავარი სამიზნე განათლების სისტემაა, მარტო მოსწავლესა და მასწავლებელზე არ გადადის პასუხისმგებლობა, კვლევებში გამოკვეთილია ყველა ის აქტორი, ვინც ერთად ან ცალ-ცალკე უნდა ზრუნავდეს ჩარჩოს დანერგვაზე.“* – ამბობს პროგრამის მენეჯერი და კონფერენციის შემაჯამებელ ინფორმაციად მასწავლებლების აქტიურობის ხარისხს ასახელებს.

***ნათია ნაცვლიშვილი:*** *„ძალიან ბევრმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან. კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მხოლოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი უნდა მუშაობდეს, არ არის მაინცდამაინც სწორი მიდგომა – დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს ყველა საფეხურის და საგნის პედაგოგი. შესაბამისად, კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები და წარმოდგენილი იყო ძალიან კარგი გამოცდილება როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებიდან. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ საშუალება, დისკუსიის ფორმატში, დაეზუსტებინათ, რა ხდება მათი კოლეგის გაკვეთილზე. ფაქტობრივად, კონფერენციაზე პედაგოგებმა ბევრი სიახლე გაიგეს, რომლებსაც პრაქტიკაში დანერგავენ.*

*როცა მსგავს ღონისძიებებს ვატარებთ, გვაინტერესებს შემდგომი ეტაპი – ამით ხომ არ დასრულდა. პრაქტიკულად, ჩვენ ახალ საქმიანობას ვუყრით საფუძველს და ამიტომ მასწავლებლებს კიდევ უფრო დიდ მხარდაჭერას ვუცხადებთ, იქნება ეს დამხმარე რესურსი, კონსულტაციები ან გარკვეული დროის შემდეგ მათი გამოცდილების ხელახლა წარმოდგენა უკვე სხვა კოლეგებისთვის თუ სხვა აქტივობები. ეს არის თანამშრომლობის პროცესი, რაც, საბოლოო ჯამში, მოგვიტანს დემოკრატიულ კულტურას.*

*კონფერენციაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა – პირველად გავაჟღერეთ ინფორმაცია ევროპის საბჭოს ახალი კამპანიის შესახებ, რომელიც 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება და ხელს შეუწყობს სკოლების ქსელის შექმნას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ფარგლებში. ჩვენ მათ ზოგადი ინფორმაცია მივაწოდეთ, უახლოეს მომავალში უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებენ. სკოლებს საშუალება ექნებათ, კამპანიის ფარგლებში, გამოკვეთილ თემებზე (ბულინგი, ძალადობის პრევენცია, ფეიკნიუსისგან თავის დაცვის პრევენცია, სკოლებში კეთილდღეობა, თანასწორობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და ა.შ.) ესაუბრონ ქსელში ჩართულ სკოლებს ევროპის მასშტაბით, გაიზიარონ ერმანეთის გამოცდილება, ისწავლონ ერთმანეთისგან, მოიფიქრონ გაცვლითი პროგრამები. ყველა სასარგებლო ინიციატივას ხელს შევუწყობთ, მეტიც, ევროპის საბჭო ჰპირდება წელს სკოლებს, რომ ინიციატივები მხარდაჭერილი იქნება როგორც რეკომენდაციებით, ისე ფინანსურად. თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ ფინანსურ მხარდაჭერას მოიპოვებს არა რომელიმე მნიშვნელოვანი რგოლი, არამედ სკოლა – მასწავლებელი/დირექტორი/ მოსწავლეთა თვითმმართველობა.“*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი **მარიკა სიხარულიძე**, კონფერენციაზე, პედაგოგებს ციფრულ მოქალაქეობაზე ესაუბრა – როგორ დაიცვან ბავშვთა უფლებები ციფრულ სამყაროში. *„ციფრული მოქალაქეობა შედარებით ახალი მიმართულება გახლავთ, აქამდე ამ საკითხების მიმოხილვა განათლებაში მსოფლიო მოქალაქეობის ქუდქვეშ მიმდინარეობდა. ახლა დადგინდა ტერმინი „ციფრული მოქალაქეობა“, რომლის პოლიტიკაზე, ძირითადად, ევროსაბჭოს განათლების დეპარტამენტი მუშაობს, რომელთანაც ჩვენი ქვეყანა ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს. ევროსაბჭოს შემუშავებული აქვს ორი მსხვილი დოკუმენტი, რომლის დანერგვის ნაწილი, ბუნებრივია, ჩვენც უნდა გავხდეთ. ზოგადად, დარგი ძალიან საინტერესო და აქტუალურია. ეს არის არა მხოლოდ საფრთხეებზე საუბარი, რომელზედაც აქცენტი ჩემს თემაში გავაკეთე, არამედ ზოგადად ციფრულ სამყაროში ქცევითი ეთიკის, ტოლერანტობის, ადამიანების სწორი დამოკიდებულების და ა.შ. შესახებ. შესაბამისად, ჩვენ, მასწავლებლებმა, სკოლამ, საზოგადოებამ, ყველამ ერთად და ბუნებრივია, სახელმწიფომ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ბავშვებმა, რომლებიც ციფრულ სამყაროში ცხოვრობენ და დღევანდელი რეალობა არ შეესაბამება მომავლისას, მაქსიმალურად შეძლონ კორექტულად, ეთიკურად, უფლებების დაცვით, მედიაწიგნიერების მაღალი უნარებით, რესურსების სწორად გამოყენებით ამ ყველაფერთან გამკლავება. ეს მიმართულებაც ამას ემსახურება.*

*აქტუალურია საკითხი, როგორ დავიცვათ ბავშვები ციფრული საფრთხეებისგან იმიტომ, რომ ეს სამყარო სრულიად ღიაა. ამ პროცესში ძალიან ბევრი მსხვილი მიმართულება იკვეთება, რომელიც რეალურად ემპირიულ დონეზე ვიცით. მაგალითად, უმწვავესი პრობლემაა კიბერბულინგი. სამწუხაროდ, კიბერბულინგს მსხვერპლიც ჰყავს, თუმცა, შეიძლება ბევრად მეტია მსხვერპლთა რაოდენობა, ვიდრე ჩვენ ამის შესახებ ვიცით. ჯერჯერობით შესაბამისი კვლევები არ არსებობს, არც მეცნიერულადაა გამყარებული ეს მიმართულება. ახლა დაიწყეს მასზე ფიქრი მეცნიერებმაც და განათლების სპეციალისტებმაც. მაგრამ რაღაცნაირად ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ და მაქსიმალურად ვეცადოთ გავაძლიეროთ ყველა კომპონენტი, მათ შორის, დაცვის ფილტრები, ტექნოლოგიების მიმართულებით, სკოლებში, მასწავლებლებსა და მშობლებში; ვასწავლოთ მათ, როგორ დაიცვან ბავშვები სხვადასხვა უარყოფითი ზეწოლისგან, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს. გარდა ამისა, მოვამზადოთ თვითონ ბავშვები და გავაძლიეროთ საქმიანობა მედიაწიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების მიმართულებით.*

*მოგეხსენებათ, ეროვნული სასწავლო გეგმა გადამუშავების პროცესშია და აქედან გამომდინარე, მასში ასახული არ არის ეს მიმართულება, არც მასწავლებლის სტანდარტშია ასახული, რადგან ეს დოკუმენტი სასწავლო გეგმის შემდეგ იწერება. მარტივად რომ ვთქვათ, ამ საკითხზე პოლიტიკის დონეზე მსჯელობა არ დაწყებულა. ჩემი მოხსენებაც, რომელიც კონფერენციაზე წარვადგინე, კვლევაა, რომელსაც როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ვახორციელებ. თუმცა, ჩვენ მაინც ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ მსოფლიო მოქალაქეობის დანერგვაზე და აქტიურად ვთანამშრომლობთ იუნესკოს შესაბამის სამსახურებთან.*

*ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მიმართულებით, წლებია, აქტიურად ვმუშაობთ ევროსაბჭოსთან და ლიდერი სახელმწიფოც კი ვართ. ჩვენი თაოსნობით არაერთი პროექტი განხორციელდა ქვეყნის დონეზე. ჩვენი ეროვნული კონფერენცია ადამიანის უფლებების გამოცხადების 60 წლისთავს მივუძღვენით, რომელიც 10 დეკემბერს აღინიშნა და მასში მასწავლებლები ქვეყნის მასშტაბით ჩაერთვნენ. დიდია ინტერესი ამ კონფერენციისადმი მათი მხრიდან. ვფიქრობ, მართლაც ძალიან საინტერესო გამოვიდა, უცხოელი ექსპერტებიც გვყავდა მოწვეული და მათაც გაგვაცნეს თავიანთი გამოცდილება, მერწმუნეთ, ჩვენი ქვეყნიდანაც ბევრი წაიღეს. უცხოელმა ექსპერტებმა აღნიშნეს კიდეც, თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული კომპეტენციების დანერგვა განსაკუთრებული მიმართულებაა და კონფერენციაზე ეს საინტერესო ჭრილში იყო გამოტანილი.*

*ზოგადად, კონფერენცია დადებითად შემიძლია შევაფასო არა იმიტომ, რომ ჩვენ განვახორციელეთ, არამედ იმიტომ, რომ დეტალურად განვიხილეთ ეს საკითხი ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სქემის კომპონენტის ჩათვლით. კონფერენციის მეორე დღის ერთი სესია მთლიანად მას მიეძღვნა, არ დარჩენილა არც ერთი მსურველი საგნობრივი ჯგუფი ან საგნის პედაგოგი, ვისაც არ მიეცა საშუალება, ესაუბრა მისთვის საინტერესო თემაზე. ბევრი კარგი გამოცდილება გაგვიზიარეს მასწავლებლებმა. რაც მთავარია, ეს არ იყო მხოლოდ სკოლის დონეზე, აქტიურად იყვნენ ჩართულები უმაღლესებიც – მასწავლებლის მომზადების პროგრამების წარმომადგენლები, რომლებმაც საუნივერსიტეტო დონეზე ისაუბრეს, საშუალება მიეცათ განეხილათ იმ პროექტების დანერგვა, რომლებსაც სწორედ ჩვენთან თანამშრომლობით ახორციელებენ.“*

განათლების ექსპერტის, **მარსელო ტრაველის** აზრით, მნიშვნელოვანია კონფერენციას ყოველწლიური სახე რომ აქვს. *„კონფერენციაზე პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს საუეთესო გამოცდილება გაუზიარონ, მეც ამ მიზნით ჩამოვედი ჩილედან. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ განათლება უფრო მეტად მიმზიდველი გავხადოთ მოსწავლისთვის“.*

ცენტრის დირექტორმა, ბერიკა შუკაკიძემ მასწავლებლის პროფესიის კიდევ უფრო წახალისება დააანონსა და განაცხადა, რომ: *„ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა შემოვიყვანოთ პროფესიაში, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საზოგადოება მეტად ენდოს სკოლას, როგორც ინსტიტუციას და მასწავლებელს, როგორც ამ ინსტიტუციის ქვაკუთხედს“.*



ინფორმაცია

# შედეგების პრეზენტაცია



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მხარდაჭერით, დუალურ განათლებაში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩართვის მოდელი შეიმუშავა, რომლის საბოლოო შედეგების პრეზენტაცია სამინისტროში გაიმართა. პრეზენტაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ შეაჯამა.

დუალური პროფესიული განათლების ფარგლებში, სასწავლო პროცესის 50% და მეტი მიმდინარეობს დასაქმების ადგილას, რაც სსსმ და შშმ პირებს ხელს უწყობს სამუშაო უნარების დახვეწასა და დასაქმების შესაძლებლობაში. პროექტის პილოტირება განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში – „აისი“ და „ოპიზარი“.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემაში დუალური პროფესიული განათლების მიდგომების დანერგვის ინიციატორია ა(ა)იპ „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ და ა(ა)იპ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მხარს უჭერს აღნიშნული ინიციატივის მასშტაბების ზრდას და უზრუნველყოფს დუალური ინკლუზიური განათლების სისტემურ დანერგვას

**ირინა აბულაძე**: *„პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ მეტად გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას, კერძო და სახელმწიფო სექტორების მიმღებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიმართულებით. პროექტმა აჩვენა, რომ შესაძლებელია ვიფიქროთ პროექტის მასშტაბის გაზრდაზე. დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ კერძო სექტორი განათლების სამინისტროსთან და შესაბამის ორგანიზაციებთან, კოლეჯებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტ ინიციატივას გამოიჩენს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა ჩვენი საზოგადოების ინკლუზიურ საზოგადოებად ფორმირებისათვის.“*

**მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი**, ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური განათლებისათვის“: *„ჩვენი პროექტით გამოვეხმაურეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივას, სურვილს – ყოველი ახალი მიდგომა, დანერგილი საგანმანათლებლო სისტემაში, გახდეს ინკლუზიური. გაგვიჩნდა იდეა, დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეგვეტანა ინკლუზიის კომპონენტი და შესაძლებლობა მიგვეცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მიიღონ განათლება დუალური მიდგომებით. დასავლეთში ეს აღიარებულია საუკეთესო გზად და საშუალებად, რომ ადამიანი, რომელსაც აქვს გარკვეული გამოწვევები, საჭიროებები და შეზღუდული შესაძლებლობები, პროფესიულ უნარ-ჩვევებს სამუშაო გარემოში დაეუფლოს, რაც იმის გარანტიაა, რომ ის უფრო იოლად შეძლებს საკუთარი თავის პოვნას შრომის ღია ბაზარზე.“*

**ნიკოლოზ მესხიშვილი**, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია: *„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია უზრუნველყოფს კერძო სექტორის დაინტერესებას და ჩართულობას აღნიშნულ პროცესში, რომ არსებული სისტემა უფრო მორგებული გახდეს კერძო სექტორის ინტერესებზე. ასევე, ჩვენ უზრუნველვყოფთ, იმ ახალგაზრდების დაინტერესებას, რომლებსაც სურვილი აქვთ, ისწავლონ და დაეუფლონ კონკრეტულ პროფესიას, მიიღონ სამუშაო გამოცდილება და მომავალში გახდნენ წარმატებული მეწარმეები ან აგრარულ სექტორში – წარმატებული ფერმერები. შესაბამისად, დღევანდელი ღონისძიება აღნიშნულ მოდელში ინკლუზიური განათლების კომპონენტების დანერგვას ითვალისწინებს, რაც უფრო მეტად მოქნილს გახდის სისტემას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მისცემს საშუალებას, ჩაერთონ სასწავლო პროცესში, გახდნენ პროფესიული განათლების სტუდენტები, მიიღონ სამუშაო გამოცდილება და განავითარონ თავიანთი ბიზნესი.“*

# კინო სკოლაში



გაიმართა პროექტის „კინო სკოლაში“ 2018 წლის სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება, რომლის ფარგლებში დაჯილდოვდნენ შემდეგ კონკურსებში გამარჯვებული კინოსკოლელები: „საუკეთესო კინოაფიშის შექმნა“, „ფოტოკონკურსი“, „დღის კითხვა“, „საუკეთესო კინოკლუბის პროფილი“.

„კინო სკოლაში“ კინოგანათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებში კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტი, უკვე მეხუთე წელია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით, წარმატებით მიმდინარეობს. „კინო სკოლაში“ ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში. მასში ჩართულია 800 სკოლა და შედგა 9800 კინოჩვენება.

შემაჯამებელი ღონისძიება დაიხურა ინტელექტუალური თამაშით „რა? სად? როდის?“, რომელშიც 350 კინოსკოლელისგან შემდგარი 50 გუნდი მონაწილეობდა.




- ✓ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აფნიის საჯარო სკოლის მშენებლობა დაასრულა.
- ✓ მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით. სკოლა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. პროექტი მოიცავს სარეკრეაციო სივრცეს, სადაც განთავსებულია აქტივობის კუთხე, ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო.
- ✓ სკოლის მშენებლობაზე ნახევარ მილიონამდე ლარი დაიხარჯა.

# მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად

მეორე წელია ხოჯორნის სკოლის აქტიური სასკოლო ცხოვრება აღარ წარმოადგენს სიახლეს თქვენთვის. ასევე, მეორე წელია ვახორციელებ პროექტს „გაიცანი საქართველო“, რომლის მიზანია მოსწავლეები არა მარტო ვირტუალურად, რეალურად გაეცნონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, იქაურ ტრადიციებსა და კულტურას; მოინახულონ ღირსშესანიშნაობები; გაეცნონ ქართველ თანატოლებს, მოხდეს მათთან ინტეგრაცია, რის საფუძველზეც, შემდგომში, ხოჯორნში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის და განსხვავებული რელიგიური კუთვნილების წარმომადგენლებს გაუჩნდეთ განცდა, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და ქართველ თანატოლებთან ერთად აქტიურად უნდა ჩაერთონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

პროექტის ფარგლებში, რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით, მოსწავლეებმა მოინახულეს პირველი ევროპელები დმანისში, ეწვივნენ ტანძიას. სექტემბერში სამშენებლო კომპანიამ „AWARD“ ხოჯორნელ მოსწავლეებს სამდღიანი ექსკურსია დაუფინანსა სვანეთში.

ასეთი მოგზაურობები კარგი სტიმულია არაქართველი ბავშვებისთვის. მათ აუმაღლდათ მოტივაცია, გაუჩნდათ უფრო მეტი ხალისი სწავლის მიმართ და ქართული ენის შესწავლის ინტერესი.

7 დეკემბერს, მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკაში, მოსწავლეთა კონფერენცია გაიმართა, რომლის ორგანიზატორი ჩვენი სკოლა იყო, კონფერენციის ხელმძღვანელი კი თავად გახლდით. მიზანი მოსწავლეთა შორის მოტივაციის ამაღლება, აუდიტორიასთან ურთიერთობის და საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თვალსაწიერის გაფართოება და საკუთარი სოფლის, რაიონის თუ ქალაქის გაცნობა გახლდათ. კონფერენციის მიზანი პირდაპირ კავშირში იყო ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევებთან და ეროვნულ საგანმანათლებლო მიზნებთან.

კონფერენციაში მუნიციპალიტეტის 7 სკოლა ჩაერთო: ***გუნაში ნოვრუზოვა, მეხმან სამედოვი*** (ულაშლოს სკოლა, ხელმძღვანელები: **საბუხი აბდულაევი, ბექა თოშხუა**); **ქრისტინე ლავრენტიევა, ვიკტორ კლინკაროვი** (ოფრეთის სკოლა, ხელმძღვანელი – **თინა ბაწაშვილი**); **ასლი აივაზოვა, არზუ ბაირამოვა, რივეიდა ხუდიევა** (სადახლოს №1 სკოლა, ხელმძღვანელი – **ეკატერინე ბუხაიძე**); **აისელ მამედოვა, ისმინაზ ისმაილოვა** (ჯანდარას სკოლა, ხელმძღვანელი – **მერი ხაჩიძე**); **ვალიდა აშირლი, ქენან აგაჯანოვი, ადილ ახმედოვი** (ბაითალოს სკოლა, ხელმძღვანელი – **ეკატერინე სისაური**); **მილენა კირაკოსიანი, მარინა კირაკოსიანი, ანუშ ადამიანი, ანა ჰარუთუნიანი, ლენა ავეტისიანი, ლიდა მირაქიანი, წაღიკ ვოსკანიანი, კარინე სიმონიანი** (შაუმიანის №1 სკოლა, ხელმძღვანელი – **ნინო ზაქარიაძე**) და ხოჯორნის სკოლის როგორც სომხური, ასევე აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეები: **ერიკ გრიგორიანი, სუზანა ახვერდიანი, საშა ასატრიანი, ირინა ვერმიშიანი, ლუსინე არზუმანიანი, ეთერა ავეტისიანი, ნელი მათოსიანი, მარტინა ვერმიშიანი, ნონა გრიგორიანი, აიდა ვერმიშიანი, სეირან სიმონიანი, არმან ვერმიშიანი, სარხან იბადოვი, ელნურა აბდულაევა** (ხელმძღვანელები: **ლალი მარგიანი, ნარინა ასატრიანი, ანარ შარიფოვი**).

მოსწავლეების პრეზენტაციები ეძღვნებოდა მშობლიური სოფლების როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე ცხოვრების პრობლემების მიმოხილვას. აღსანიშნავია, პროექტში „არაქართულენოვანი მასწავლებლების პროფესიული განვითარება“, კონსულტანტ-მასწავლებლებთან ერთად, ადგილობრივი პედაგოგების ჩართულობაც.

კონფერენციას ესწრებოდნენ მარნეულის მერიისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, ასევე, მოწვეული სტუმრის სტატუსით, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი **გიორგი კილაძე**.

მონაწილე მოსწავლეებს და მასწავლებლებს სერტიფიკატები და წიგნები გადაეცათ. მერიის კულტურის სამსახურმა და რესურსცენტრმა ოფრეთისა და სადახლოს სკოლის მოსწავლეები, საუკეთესო პრეზენტაციებისთვის, სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა. როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორი, მადლობას ვუხდი მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მერიას მხარდაჭერისთვის, მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკას კი – მასპინძლობისთვის.

ლალი მარგიანი
*ხოჯორნის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი*







სოფლის სკოლა

# „სამასწავლებლო" ურთულესი გამოწვევის პირისპირ

ლალი ჯელაძე

სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული განვითარება რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და პედაგოგებს შორის თანამშრომლობის კულტურის განვითარებაზე, ამის საილუსტრაციოდ მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლის მაგალითზე მინდა გიამბოთ. წერილის დაწერის იდეა ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **ეკატერინე წულუკიძის** მიერ, ახლახან, სკოლაში წამოწყებულმა პროექტმა „სამასწავლებლო" გამიჩინა. პროექტის მიზანი, სკოლის ბაზაზე, ახალი მეთოდების, მიგნებებისა და გამოცდილების გაზიარებაა, რომლისთვისაც ეკატერინემ ხუთშაბათი დღე დააწესა და პირველი სემინარის თემად „ისტ ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენება" აირჩია. კოლეგებთან ერთად განიხილა edmodo.com – ვირტუალური საკლასო ოთახის შესაძლებლობა და გამოყენება სასწავლო პროცესში.

*„ფარის საჯარო სკოლის პედაგოგებს შორის ძალიან მაღალია გუნდური და თანამშრომლობითი ურთიერთობა, თუმცა, უკეთესი შედეგის მისაღებად აუცილებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს გამოცდილების გაზიარების კულტურა. უჭირს მთას და მთის პედაგოგებს სიახლეების ფეხდაფეხ მიყოლა, მუდმივად პროფესიული განვითარების სადარაჯოზე დგომა. გადის წლები, პრობლემა პრობლემადვე რჩება, მასწავლებლისთვის პროფესიული ზრდა ურთულესი გამოწვევაა..."* – ამბობს ეკატერინე წულუკიძე. სწორედ მსგავსი პრობლემების დასაძლევად და უწყვეტი განვითარების სურვილით დაიწყო პროექტი „სამასწავლებლო". პროექტის დაწყებამდე, მისმა ინიციატორმა სკოლის საჭიროების კვლევა გადაწყვიტა და მასწავლებლებში გამოკითხვა ჩაატარა – რა აფერხებს მათ პროფესიულ განვითარებას? პარალელურად მოსწავლეებიც გამოიკითხნენ – რა სურთ მათ? როგორი გაკვეთილები მოსწონთ? ორივე მხარემ აღნიშნა, რომ აკლიათ ინოვაციური გაკვეთილები და სურვილი აქვთ, სასწავლო პროცესი უფრო მეტად ტექნოლოგიებზე იყოს ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, დაიგეგმა პირველი ხუთშაბათის თემაც.

*„მე, მათთან შედარებით, უკეთ ვიცნობ ტექნოლოგიებს, ამიტომ მინდა კოლეგებს გამოცდილება გავუზიარო. მასწავლებლების მხრიდან **ედმოდოს** საკლასო ოთახზე დიდი ინტერესი გაჩნდა, თუმცა, აქ პრობლემა იჩენს თავს, რადგან, ტექნოლოგიებს, ხშირად, პედაგოგები არამიზნობრივად იყენებენ გაკვეთილებზე. სწორედ ამ მიმართულებით მინდა წავიდეთ – როგორ გამოიყენონ ეფექტურად ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში. რაც მთავარია, სურვილი მაქვს, მხოლოდ მე კი არ ვიყო ინიციატორი და ასეთი სემინარების ჩამტარებელი, არამედ დანარჩენებსაც მივცე საშუალება, გაგვიზიარონ მეთოდები, რომლებიც აპრობირებულია და კარგად გამოსდით. ამით უკუკავშირსაც მივიღებთ და სკოლაში თანამშრომლობით პროფესიული განვითარების კულტურასაც დავამკვიდრებთ. ვფიქრობ, ჩემი მცირე გამოცდილების გაზიარებით, კოლეგებთან ერთად, შევძლებთ ამ ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენებას და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. პროცესი გრძელდება და ყოველი ხუთშაბათი იქნება დღე, რომელსაც ჩვენი პროფესიული განვითარებისთვის გამოვიყენებთ"* – ამბობს ეკატერინე.

ეს აუცილებლობა იმანაც განაპირობა, რომ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა მესტიის რაიონის მასწავლებლებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, მართლა ძალიან უჭირთ, მოკლებული არიან პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილ ტრენინგებსა თუ სხვა სახის აქტივობებს. ნაწილი ვერ იგებს რეგისტრაციის გამოცხადებას, ნაწილისთვის ძალიან რთულია პროცესში ჩართვა, თუნდაც იმის გამო, რომ სოფელი 28 კილომეტრითაა დაშორებული რაიონულ ცენტრს. ამას ისიც ემატება, რომ უმეტესად ჯგუფები არ დგება, რომ ადგილზე ჩატარდეს ტრენინგი. გარდა ამისა, ფარის საჯარო სკოლა ცენტრისგან მოშორებულია. მასწავლებლებმა მანქანა რომ იქირაონ ჩასასვლელად და უკან დასაბრუნებლად, მინიმუმ, 100 ლარი მაინც სჭირდებათ. ამ თანხის გადახდა, დამერწმუნებით, მასწავლებელს ძალიან გაუჭირდება.

ეკატერინეს აზრითაც, ეს ორი ფაქტორი – სიშორე და თანხები – ძალიან აფერხებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას: *„იმისთვის, რომ გამევლო ტრენინგი „სამუზეუმო სწავლება ქართულ ენასა და ლიტერატურაში", ზუგდიდში ჩავდიოდი დასასწრებად და უკან ვბრუნდებოდი. მარტო მგზავრობას 5 საათი ვუნდებოდი, ხარჯზე რომ აღარაფერი ვთქვა. ამას ყველა ვერ ახერხებს, თუნდაც, დროის ფაქტორის გამო. ვსაუბრობთ თანამედროვე მასწავლებელზე, მაგრამ იმაზე არა, როგორ გავხადოთ ის თანამედროვე, თუკი ასეთ ხელშემშლელ ფაქტორებს არ გავითვალისწინებთ. თუკი მასწავლებელმა ვერ შეძლო თანამედროვე სწავლების მეთოდების შესახებ ტრენინგების გავლა, როგორ აუწყობს ფეხს თანამედროვე სწავლებას? მოძველდა ის, რაც წლების განმავლობაში ვისწავლეთ, ბავშვებიც გრძნობენ ამას. საბოლოოდ კი, ყველაფერი სწავლების ხარისხზე აისახება."*

ფარის სკოლას სულ 13 მასწავლებელი ჰყავს, მათგან ორი პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის" მონაწილეა. 13 პედაგოგიდან, ორის გარდა, ყველა პრაქტიკოსია. ეკატერინე წულუკიძე და პროექტით ჩასული ერთ-ერთი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლები არიან. ამის ფონზე კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ადგილზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. *„იქნებ როგორმე გავზარდოთ მათი კარიერული წინსვლის მოტივაცია, რომ ჩააბარონ გამოცდები"* – ამბობს ეკატერინე. კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების გადაწყვეტილებაც, სწორედ ამის გამო მიიღო, თან ფიქრობს, რომ ტრენინგები მაინც ერთჯერადი ხასიათისაა, ხშირად ბევრი მასწავლებელი ესწრება, მაგრამ შემდეგ აღარ იყენებს საგაკვეთილო პროცესში. სკოლის ბაზაზე განვითარება კი, მისი აზრით, უფრო ძლიერი მექანიზმია პროფესიული ზრდისთვის. პირველი შეხვედრის შემდეგ, მასწავლებლები მთელი კვირის განმავლობაში იმუშავებენ ამ მეთოდით გაკვეთილებზე და მომავალ ხუთშაბათს პრეზენტაციას გააკეთებენ – როგორ იმუშავეს გაკვეთილზე, რა სირთულეებს წააწყდნენ და ა.შ. საბოლოო ჯამში, შეხვედრების კურსი რომ ჩამთავრდება, „სამასწავლებლოს" მონაწილე პედაგოგები სამოდელო გაკვეთილებს დაგეგმავენ.

დღეს რომ სკოლას მხოლოდ ორი უფროსი მასწავლებელი ჰყავს, ამის უმთავრეს მიზეზად პედაგოგები დროის ფაქტორს ასახელებენ. ფარის სკოლაში მასწავლებლები ძირითადად ქალები არიან, რომლებიც ურთულეს პირობებში ცხოვრობენ, დილიდან, ოჯახში, სამეურნეო საქმეების კეთება უწევთ და სკოლაში უკვე დაღლილები მიდიან. საქონელი ჰყავთ მისახედი, ოჯახს უნდა მოუარონ... გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი ისევ სახლისკენ მიიჩქარიან – პური უნდა გამოაცხონ, სადილი მოამზადონ, და საღამოს ისევ საქონელს მიხედონ ან სხვა სამეურნეო საქმეებს გაუძლვენ. ფაქტობრივად, მასწავლებელს დრო არ აქვს, იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე. მეორე პრობლემა კი ტრენინგებზე ხელმისაწვდომობაა. ეკატერინეს აზრით, პირველი უფრო დიდი პრობლემაა. ის მასწავლებლებს, პირობითად, ორ კატეგორიად განიხილავს – *„არიან ისეთები, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც წავიდნენ განვითარებისკენ, მეორე კატეგორია კი ისევ იქ დარჩა და ახლა ძალიან ეძნელებათ ამ „დისტანციის" დაძლევა. პედაგოგების ნაწილს აქვს შესაძლებლობა, მაგრამ რაღაცის შიშით ვერ დგამენ წინ ნაბიჯებს. ამ ფაქტორებს მაგალითებზე დაყრდნობით ვასახელებ, თუმცა,ზოგადად, სისტემაში ეს ისევ სერიოზულ გამოწვევად დარჩა, რადგან ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრაქტიკოსი მასწავლებელია.*

*რაც შეეხება გამოსავალს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. ბუნებრივია, ქალის მდგომარეობა ვერ შეიცვლება... თუმცა, ფაქტია, რაღაც ისეთი უნდა მოხდეს, რაც მათ მოტივაციას გაზრდის. ვფიქრობ, თუ ერთხელ იგემეს წარმატების გემო, მერე აღარც გაჩერდებიან. როცა გაჩერებული ხარ და არ გინდა რამე გააკეთო, ეს მუდმივ მდგომარეობაში გადადის და წლები ტკეპნი ერთ ადგილს. ვფიქრობ, ამ მდგომარეობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პრაქტიკოს მასწავლებლებს მისცეს შესაძლებლობა, მუდმივად პრაქტიკოსები ყოფილიყვნენ. ამიტომ აღარც აქვთ სურვილი წინ წავიდნენ, ამბობენ „ეს ხომ მაინც მაქვს", „ეს ხომ მაინც დამრჩება!"*



ეკატერინე წულუკიძე 2017 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" ფინალისტია. ამბობს, რომ შესაძლებელია, ხშირად მისი აქტიურობა სხვების მოტივაციის ჩამკლავი იყოს. *„ზოგჯერ ისე გამოდის, რომ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია, კოლეგები მეუბნებიან, რომ „შენ ამას უფრო კარგად გააკეთებ" ან „მაინც გააკეთებ". ჩვენთან არ არის შიდაკონკურენცია, რაც აუცილებელი პირობაა წინსვლისთვის. სკოლაში თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან კონკურენტულ გარემოს განვითარების სხვა შედეგები მოაქვს. ყოველთვის მე ვიყო ლიდერი – სწორედ ეს არ მინდა, ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ კოლეგებს, რომ შემდეგ ისინი ვაქციო ლიდერებად. „სამასწავლებლოს" მიზანიც საბოლოოდ ეს არის – ერთმანეთს გავუზიაროთ წარმატებული გამოცდილება და შევქმნათ კონკურენტული გარემო.*

*შარშან ასეთი შემთხვევა გვქონდა, ჩვენმა მასწავლებელმა ძალიან კარგი პროექტი გააკეთა, ყველანაირად დავეხმარე, მაგრამ ვერაფრით მივაღწიე, რომ კონფერენციაზე მომზადებული მოხსენება წაეკითხა. ერთგვარი შიშიც აქვთ აუდიტორიის წინაშე გამოსვლის და თავის წარმოჩენის. ესეც დასაძლევი პრობლემაა. ქართული ენის მასწავლებელთა კლუბი დავაარსე რაიონის მასშტაბით, იქაც მსგავს შემთხვევებს ვაწყდები.*

*მოსწავლეებისთვისაც მუშაობს ქართული ენის კლუბი. ვცდილობ, დამატებით ვამეცადინო აკადემიურ წერაში, რომ რეპეტიტორთან მომზადება აღარ დასჭირდეთ. ფაქტობრივად, ეროვნული გამოცდებისთვის ვამზადებთ. ჩვენი ბავშვებისთვის საკლუბო მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია, რომელიც ახლა „კოალიციამ – განათლება ყველასათვის" დააფინანსა, მაგრამ წლების განმავლობაში, ლიტერატურის კლუბსა და ეკოკლუბს აბსოლუტურად უფასოდ ვამუშავებდით. სოფელი ფარი რამდენიმე სოფელს აერთიანებს, მოსწავლეებს შორი მანძილიდან უწევთ სიარული, 5 და 8 კილომეტრითაა დაშორებული მათი საცხოვრებელი სკოლას. ამიტომ, გაკვეთილების დამთვარებისთანავე მიდიან სახლში, რადგან მანქანა აღარ ელოდებათ ხოლმე და ვეღარ რჩებიან საკლუბო მეცადინეობაზე. გამუდმებით მიწევს ამისთვის ბრძოლა, მით უმეტეს, ზამთარში. აქაც არათანაბარ პირობებში არიან ბავშვები – ის, ვინც შეძლებს კლუბში დარჩენას, მეტს გაიგებს და ისწავლის, ვინც ვერ ახერხებს – ნაკლებს. ასეთი ტიპის პრობლემებიც ყურადსაღებია."*

ფარის საჯარო სკოლის მასწავლებელი პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს, რადგან სწორედ მან უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ მსგავსი დიფერენცირება ქალაქისა და სოფლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, ასეთი თვალშისაცემი არ იყოს. მისი აზრით: *„პროფესიულ განვითარებაზე ხელმისაწვდომობაც აუცილებლად თანაბარი უნდა იყოს ყველასთვის – სოფლის მასწავლებელი არ უნდა გრძნობდეს ქალაქელი მასწავლებლის უპირატესობას იმის გამო, რომ თვითონ სოფელში დაიბადა და იქ ასწავლის. ამის გამოძახილია, თუნდაც, კონფერენციაზე გამოსვლის შიში და მორიდება. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება, ვფიქრობ, ყველაზე დიდი მოტივატორია, გახდე რჩეული ან უკეთესი. პროფესიული განვითარება ადგილზე ცენტრის ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს – ადგილზე უნდა შექმნან პირობები მასწავლებლების კარიერული წინსვლისთვის და მათი პროფესიული ზრდისთვის. სხვა შემთხვევაში, ისევ გავა წლები და ისევ გამოწვევად დარჩება მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ძალიან ხშირად, არ იციან მცირეკონტინგენტიანი და მთის სკოლების გასაჭირი, სათანადოდ ვერ აფასებენ რა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას დღეს სოფლის სკოლის მასწავლებელი. ქალაქის საზომით გაზომვა კი მას წარმატებას ვერ მოუტანს. ამიტომ სულაც არ მიკვირს, ქალაქელი მასწავლებლის წარმატებები."*

მცირეკონტინგენტიანი სკოლის ყველაზე დიდ გასაჭირად ეკატერინე მოსწავლეების სიმცირეს მიიჩნევს, მაგრამ ამბობს, რომ ვინც ჰყავთ (თუნდაც 29 ბავშვი), მათაც ისევე სჭირდება თანამედროვე სწავლება, როგორც დანარჩენებს. ყველაზე დიდი სირთულე კი რესურსებზე ხელმისაწვდომობაა. სწორედ ამიტომ იხარჯება ასე, რომ ფარის სკოლის მოსწავლეებს ბევრად მეტი ჰქონდეთ, ვიდრე, უბრალოდ, გაკვეთილი. სამწუხაროდ, ბავშვის განვითარებისთვის არც თემში და არც სკოლებში არანაირი პირობა არ არსებობს, არც ბიბლიოთეკა, არც კულტურის სახლი მუშაობს... ამიტომ სკოლა არ უნდა იყოს მხოლოდ საგაკვეთილო პროცესისთვის განკუთვნილი დაწესებულება, ის კულტურული ცენტრის ფუნქციასაც უნდა ითავსებდეს სოფელში, რაც ბავშვს და ახალგაზრდას განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემს.



## სოფლის სკოლა

ისედაც, მხოლოდ სკოლაა ის ინსტიტუცია, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებას, *„თუმცა, ნელ-ნელა ეს ფუნქციაც იშლება, რადგან ყველას ქალაქისკენ უჭირავს თვალი* – გულისტკივილით ამბობს ეკატერინე – *იმიტომაც სჭირდება სკოლას განსაკუთრებული ხელშეწყობა, რომ სოფელი მიგრაციისგან დავიცვათ.“*

ყველაფერთან ერთად, სკოლაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია, პროექტით მივლენილი მასწავლებლებიც არ არიან საკმარისი. ხშირად ერთი საგნის მასწავლებელს შეთავსებული აქვს სრულიად სხვა მიმართულების ორი ან სამი საგანი. *„ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, სწავლების ხარისხიც დაბალია. მაშინ როდესაც ტექნოლოგიები ასე პოპულარულია, მაშინ როცა სტემ საგნების სწავლება პრიორიტეტულია, ჩვენთან ერთ კოლბასაც ვერ ნახავ, რომ ქიმიის მასწავლებელმა ცდა ჩაატაროს. ისევ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობასთან მივდივარ, მარტო სახელმძღვანელოზე არ უნდა იყოს მასწავლებელი მიჯაჭვული, კეთებით სწავლება ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რასაც სოფლის სკოლების უმეტესობა მოკლებულია. ამ თვალსაზრისით, მკვეთრი განსხვავებაა სოფლისა და ქალაქის ბავშვს შორის, ართანაბარ პირობებში გვყავს მოსწავლეები. იყო წლები, როცა ბავშვები სკოლას ისე ამთავრებდნენ, დედაქალაქი საერთოდ არ ჰქონდათ ნანახი. ახლა ეს პრობლემა იმით დავძლიეთ, რომ კონკურსებში ვიღებთ მონაწილეობას და გაგვყავს ბავშვები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მათ უფრო მეტი სჭირდებათ. კარჩაკეტილები არიან, ეს კარჩაკეტილობა კიდევ უფრო გაუსაძლისია, როცა ადგილზე მოსწავლეებს სრულფასოვნად განვითარების შესაძლებლობა არ აქვთ.*

*ჩვენი მოსწავლეებისთვის მხოლოდ სახლი და სკოლაა. ორი წელია, რაც სკოლაში ინტერნეტი გვაქვს, მაგრამ არ გვქონდა კომპიუტერული ლაბორატორია, ორად ორი კომპიუტერია და ისიც გამოცდებისთვის გამოიყენებოდა. რადგან კომპიუტერები პერსონალურია, მას გაკვეთილებზე ვერ ვიყენებდით. ახლახან ჩემი პროექტი დააფინანსა „კოალიციამ – განათლება ყველასთვის“ და ქართული ენის კაბინეტი მოვაწყვე. მიხარია, რომ უკვე აქვთ მასწავლებლებს ტექნოლოგიებით სარგებლობის შესაძლებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვები ვერ ფლობენ კომპიუტერულ უნარებს, რადგან სახლში ინტერნეტი არ აქვთ. სემინარი „ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში“ სწორედ ამას ისახავდა მიზნად – იქნებ სკოლას დავანახოთ ტექნოლოგიების საჭიროება, რომ მერე კიდევ მოვითხოვოთ კომპიუტერები ან მსგავსი პროექტებით მოვიპოვოთ დაფინანსება. სკოლაში თუ მეტი კომპიუტერი გაჩნდება, ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება უფრო საინტერესო რეჟიმში გადავა.“*

აფხაზეთის ომის შემდეგ, ოჯახთან ერთად, საკუთარ ფესვებს მიბრუნებული ეკატერინე ძალიან წუხს, რომ, როგორც მასწავლებელს, სხვა ბერკეტი არ გააჩნია ახალგაზრდების სოფელში დასაკავებლად და მათთვის ბევრი საინტერესო პროექტისა თუ აქტივობის შესათავაზებლად. თუმცა, ეს უფრო თავმდაბლობით ნათქვამია, რადგან მისი აქტივობა სკოლას გასცდა და თემისთვისაც არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. შექმნა ორგანიზაცია, რომელმაც გრანტების მოპოვების საშუალება მისცა. პირველი პროექტი გარემოს დაცვას უკავშირდებოდა, შემდეგ, უფრო მნიშვნელოვანი პროექტი სოფლის ტურისტული პოტენციალის შესწავლასა და რეალიზებას შეეხო. *„სვანეთი, ზოგადად, ტურისტული რეგიონია, მაგრამ ჩვენი სოფელი ძალიან ღარიბია. მოსახლეობის 80 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, მაგრამ ვხედავ, რომ ტურისტული პოტენციალი დიდია. სწორედ ამის გამო წამოვიწყეთ ეს პროექტი, დეტალურად შევისწავლეთ ყველა რესურსი და ძალიან მიხარია, რომ ნელ-ნელა ეს ყველაფერი დაიძრა. უკვე მეორე წელია, ჩვენს სოფელში რამდენიმე საოჯახო სასტუმროც გაჩნდა და, შესაბამისად, ტურისტებიც გამოჩნდნენ. ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო ნაბიჯია ჩვენი მხრიდან გადადგმული.“*

ზოგადად, ორგანიზაციის მისია თემის გაძლიერება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა სხვადასხვა საკითხებში. *„ვცდილობთ, თუკი რაიმე რესურსი არსებობს სოფელში ყველაფერი სასიკეთოდ გამოვიყენოთ. მაგალითად, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს სოფელში არის უნიკალური ჯიშის ბზა, რომელიც არსად არ არის და, სამწუხაროდ, გადაშენების პირასაა. შესაძლებელია, რომ ის ბუნებრივ ძეგლად გამოცხადდეს. მოვამზადეთ პროექტი და მოვიპოვეთ დაფინანსება.“*

„მთის დღე“ – ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც მთის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვას და მთის განვითარების პერსპექტივის განხილვას ემსახურებოდა. გამოფენაში მონაწილეობდა საწარმო, რომელიც ეკატერინე წულუკიძემ ჩამოაყალიბა:

*„ერთი წლის წინ გავაკეთე პროექტი, სოციალური საწარმო ქალებისთვის, რომლის მიზანია თემში მცხოვრები ქალების პროფესიული განათლების ხელშეწყობა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. საწარმო ორი მიმართულებით მუშაობს – ერთი ემსახურება თეთრეულის კერვას და ამ კუთხით ქალების დასაქმებას, მეორე – წრეში გაერთიანებული სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის ხელსაქმის შესწავლას. გოგონები ეუფლებიან ქარგვას, სვანური ქუდების დამზადების ტექნოლოგიას და სხვადასხვა აქსესუარების კეთებას. ამ მიზანს და საქმიანობას მესტიის პროფესიული კოლეჯი რომ გაეცნო, რამდენიმე სკოლას შორის ჩვენ შეგვარჩია და მოვამზადეთ პროექტი თექის დამუშავებასა და დეკორატიული ქსოვილის შექმნის მიმართულებით. ამის შემდეგ, მოსწავლეთა ერთი ნაწილისგან სკოლაში შევქმენით სახელოსნო, რომლის კეთილმოწყობაშიც ლადო აფხაზავა დამეხმარა, მან პროექტში „ყველაზე ჭკვიანი“ მოგებული თანხა – 4 ათასი ლარი გადმოგვცა საჩუქრად. სკოლის სახელოსნოს უკვე ბიჭებიც შემოუერთდნენ.*

*მიხარია, ნელ-ნელა ჩვენი საწარმო ინტერესის საგანი ხდება, გვიკავშირდებიან და გვიწვევენ გამოფენებზე. მიხარია, ჩვენ სოფელს რომ წარვადგენთ, ვაცნობთ ხალხს პატარა 70-კომლიან სოფელს, სადაც ბავშვები შემოქმედებითად აზროვნებენ, ქმნიან და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ. ხშირად ვფიქრობ, უფრო მეტნი რომ ვიყოთ, რამდენ საქმეს გავაკეთებდით, იდეებით სავსე ხურჯინს ძვრას ვერ ვუშვებით, ვერ გვყოფნის ძალა, სულ 29 მოსწავლე გვყავს და კიდევ როგორ და როდის ვასწრებთ ამდენს თავად მიკვირს. მიხარია ჩემი სოფლის, თუნდაც, მცირე, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯი.“*

## პედაგოგთა დასახმარებლად

# ფრთხილად, კლასში პროგრამისტია!

21-ე საუკუნეში მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. გვსურს, გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება. დრომ მოიტანა და თუ წინათ ინფორმაციის ერთადერთი წყარო მასწავლებელი იყო, ახლა იგი პროგრამირებულმა და დისტანციურმა სწავლებამ ჩაანაცვლა. ცოდნის ტესტებით შემოწმებაც შესაძლებელია მასწავლებლის გარეშე. თანამედროვე მოსწავლე აღიჭურვა კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების იმ საშუალებებით, რომლებიც არ არსებობდა ჩვენი მასწავლებლად ჩამოყალიბების პერიოდში. ამიტომ მეტი შემოქმედებითობა, გამბედაობა და სიახლეებისკენ სწრაფვა გვმართებს, რათა „მანქანამ“ არ ჩაგვანაცვლოს. ჩვენ წინ ახალი ამოცანაა: ულევი ინფორმაციის ათვისება, ბავშვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი მოთხოვნილებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, ინფორმაციის თანამედროვე წყაროებთან მისაახლოებლად ახალი გზების მოძიების აუცილებლობა. ჩვენი სკოლა, ტრადიციულად, ორიენტირებულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო სწავლების მიმართულებით. სწავლება მე-7 კლასიდან მიმდინარეობს. სკოლაში მოსწავლეები ეუფლებიან პროგრამირების საწყის ელემენტებს, მაგრამ ზოგი მოსწავლე უკვე, შეიძლება ითქვას, რომ „პატარა პროგრამისტიცაა“ და ამიტომ მასწავლებლებს დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ მოსწავლის წინაშე „არ დავიბნეთ“ და რაღაც საწყის ეტაპზე მათი გაკვირვება-გაოცება შევძლოთ. ამიტომ ჩვენც მათთან ერთად ვსწავლობთ, ვიზრდებით და ვქმნით ამა თუ იმ ტიპის რესურსებს.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, არის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება, დევიზით – „ფრთხილად მასწავლებელო, კლასში პროგრამისტი ზის“. შემდეგ კი ვითვალისწინებთ თანამშრომლობით ასპექტებს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. უპირველეს ყოვლისა, ვარჩევთ ისეთ რესურსს, რომელიც მოითხოვს ერთად ფიქრს, ერთად კეთებას და ამ კეთებით რაღაცის აღმოჩენას (მით უმეტეს, თუ ეს „რაღაც“ საერთო ძალისხმევის შედეგია). ამბობენ, რომ კომაროველებს მარტო საბუნებისმეტყველო საგნები უყვართ და ჰუმანიტარულ საგნებს არ აქცევენ ყურადღებას. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვექმნა ელექტრონული ჟურნალი და მოსწავლეები დაგვესაქმებინა. ზოგმა ლექსები და პროზაული ნაწარმოებები შეარჩია, ზოგმა – ნახატები, ზოგმა – დიზაინი, ზოგმა ენობრივი მხარე მოაწესრიგა, ზოგმა შეარჩია პროგრამის ენა, რომელიც მოსახერხებელი იყო მათთვის ელექტრონული ჟურნალის შესაქმნელად. მასწავლებლები დირიჟორები ვიყავით და თვალყურს ვადევნებდით. ამ შემთხვევაში შეგვიძლია იმის თქმა, რომ ჩვენ მიერ შექმნილმა „პროდუქტმა“ გაამართლა და მივიღეთ ელექტრონული ლიტერატურული ჟურნალი, რომელმაც შემოქმედებითი ნიჭის მქონე მოსწავლეები გამოავლინა. გარდა ამისა, ჩვენ ვთვლით, რომ რესურსი არ უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას უნდა იძლეოდეს. მაგალითად, სასწავლო ფილმის შექმნისას მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლეები სცენარის წერაში (წერის უნარი), ფილმის გახმოვანებაში (ზეპირმეტყველების უნარი), მიიღოს მათგან რჩევები ხედებისა და რაკურსების შესარჩევად (სივრცითი ინტელექტი), დააფიქროს განათების წყაროებზე (ფიზიკაში მიღებული ცოდნის ტრანსფერის უნარი) და ა.შ. ყოველივე ზემო ჩამოთვლილის გათვალისწინებით, მივიღეთ მეცხრეკლასელების მიერ შექმნილი ანიმაცია – „გული“, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურის მიხედვით
https://www.facebook.com/lia.gogokhia/videos/vb.100001195164343/1899978653385288/?type=3

და მეშვიდეკლასელების მიერ შექმნილი „სოფლის მაშენებელნი“ სულხან-საბა ორბელიანის იგავის „სოფლის მაშენებელნი“ მიხედვით.
https://www.facebook.com/lia.gogokhia/videos/1887551054628048/

მნიშვნელოვანია, ასევე, მოსწავლეთა დაინტერესება, ანუ რომელიმე თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის გაგებისა და მოძიების სურვილის გაჩენა. დღეს, როდესაც ელექტრონული წიგნების ბუმია, ჩვენ გვსურს, რომ ელექტრონულმა წიგნმა – სახელმძღვანელომ შემდეგნაირი სახე მიიღოს. ნიმუშის სახით შემოგთავაზებთ რესურსს: „საქართველოო ლამაზო“.

თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკური ტენდენციების გათვალისწინებით საჭიროდ მეჩვენება მუშაობის გააქტიურება ლექსიკაზე. დღეს ნეოლოგიზმებისა და ჟარგონების აქტიური მოჭარბება-მოძალების პირობებში, განსაკუთრებით საყურადღებო და საფრთხილოა მათი გამიჯვნის, სპეციფიკისა და ადგილის საკითხის გარკვევა და მოსწავლეთათვის სწორი ორიენტაციის მიცემა. მოსწავლეებს მუდმივად უნდა ვუმდიდრებდეთ ლექსიკას. როცა ტექსტში ბევრი უცნობი ერთეულია, სასურველია, ისინი წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე მივაწოდოთ. უცნობ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიერ წასაკითხი ტექსტის შერჩევაზე. ისინი, ცხადია, თავს აარიდებენ ისეთს, რომელშიც მათთვის ბევრი გაუგებარი სიტყვაა. არადა, თითოეულის ინდივიდუალური პროგრესისთვის აუცილებელია ლექსიკური მარაგის მუდმივი შევსება როგორც ფუნქციური, ისე სპეციფიკური ლექსიკით.

რესურსი შექმნილია პროგრამების – HTML და PHP – ენების გამოყენებით, რადგან ვიზუალური გამოხატულება ყოველთვის მეტ ინტერესს აღძრავს საკითხის მიმართ. ამოვიწერეთ ყველა სიტყვა, რომელთა მნიშვნელობაც შესაძლებელია არ სცოდნოდათ მოსწავლეებს და განმარტებითი, სინონიმური ლექსიკონებით, Google-ისა და Wikipedia-ს დახმარებით, განვმარტეთ თითოეული ლექსიკური ერთეულის წარმომავლობა, მნიშვნელობა, ასევე, დავურთეთ ფოტოსურათები, რომელი სიტყვაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ყურადღება მივაქციეთ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. მოსწავლემ კურსორი უნდა მიიტანოს მისთვის უცნობ სიტყვასთან, „დაკლიკოს“ და ჩამოიშლება თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, მაგ. სიტყვასთან „დანაბინდები“ ჩამოიშლება ყველა ის მნიშვნელობა, რომლებიც „ბინდთანაა“ დაკავშირებული. გარდა ამისა, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილზევე მოისმინონ ლექსზე შექმნილი სიმღერა, დააკვირდნენ ლექსის რომელი ნაწილი გამოიყენა კომპოზიტორმა მუსიკის შექმნისას, რომელი ფრაზა იყო უფრო რიტმული... „ქარი გიმღერის ნანასა“ – ამ სტრიქონის წაკითხვისას მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, მოუსმინონ იმერულ, მეგრულ ნანას, იპოვონ განსხვავება-მსგავსება. ლექსი ასევე დატვირთულია ინფორმაციის თვალსაზრისით, თუმცა სახელმძღვანელო არ აწვდის მოსწავლეს მცირე ინფორმაციასაც კი, თუ ვინ არის ლექსის ავტორი – ანა კალანდაძე, რას წარმოადგენდა, როდის მოღვაწეობდა, ჩვენ მიერ შექმნილ რესურსში კი მოსწავლეს შეუძლია გაეცნოს ანა კალანდაძის ბიოგრაფიას, მის რჩეულ ლექსებს, ასევე გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას, ლექსში ნახსენებია აკაკი წერეთლის „სულიკო“, მოსწავლეებისთვის ჯერჯერობით უცნობი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები – „ონისე“ (ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“); ლელაი (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“)... ამ და სხვა, მოსწავლეთათვის უცნობ, კითხვას უპასუხებს ჩვენი რესურსი.

რესურსის ბოლოს მიმაგრებული ტესტური დავალება მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს გაარკვიოს, გაიგო თუ არა მოსწავლემ ახსნილი მასალა. მოსწავლეს შეუძლია იქვე, რესურსს მიბმულ ტექსტშივე ჩაწეროს თავისი პასუხი და მასწავლებელს შესრულებული დავალება ინტერნეტით გადაუგზავნოს.

რა შედეგი მოაქვს მოსწავლეებისათვის ჩვენ მიერ შექმნილ რესურსს: 1. მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვამდე მიწოდებული სიტყვები მოსწავლეებს გადააქვთ საკუთარ ლექსიკონში, „სიტყვის ყულაბაში“, „ლექსიკურ ერთეულთა ბანკში“ და სხვა; 2. მოსწავლეები ვარჯიშობენ ამ სიტყვებით წინადადების ან მცირე ტექსტების შედგენაში; 3. ვაჩვენებთ და აღვაწერინებთ სურათს, რისთვისაც დასჭირდებათ ახალი სიტყვების გამოყენება; 4. ახალი სიტყვებისთვის ეძებენ სინონიმებსა და ანტონიმებს; 5. მოსწავლეები განალაგებენ ახალ სიტყვებს რაიმე ნიშნის მიხედვით ჩემ მიერ მიწოდებულ სქემაში (მაგ., ნაავადარი – რა კითხვას უპასუხებს? მეტყველების რა ნაწილია? ძირეულია თუ წარმოქმნილი? და ა.შ.); 6. ქმნიან ასოციაციურ რუკას (იხსენებენ იმ სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებსაც ასოციაციურად უკავშირებენ ახალ სიტყვებს); 7. უსმენენ ან უყურებენ აუდიოვიზუალურ მასალას, რომელიც ახალ სიტყვებს შეიცავს; 8. იხილავენ ამ სიტყვების მნიშვნელობის შესაძლო ცვლილებებს სხვადასხვა კონტექსტში; 9. სასურველია ლექსიკური რუკის გამოყენება, რომელიც, საერთოდ, ლექსიკური ერთეულის გააზრების, დამახსოვრებისა და სწორად გამოყენების კარგი საშუალებაა.

რესურსის გამოყენება შესაძლებელია როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების (მუსიკის) გაკვეთილებზე, ასევე საგნობრივ წრეებზე, მკითხველთა კლუბებში, მხატვრული კითხვის გაკვეთილზე.

უარყოფითი მხარე არის ის, რომ ამ რესურსის გამოყენებისას მუდმივად უნდა გვქონდეს წვდომა ინტერნეტთან, ტექნიკურად რთული შესასრულებელია და მოითხოვს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში. მოითხოვს დიდ დროს და მუდმივ განახლებას. რესურსი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: https://liagogokhia.wordpress.com/ (ფაილის გასახსნელად რეკომენდებულია Internet Explorer ბროუზერი ან ნებისმიერი HTML-ისა და PHP-ის ფაილის წამკითხველი).

ლია გოგოხია
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

https://technologyegma.wordpress.com
ინფორმაციული ტექნოლოგიები და მომავალი თაობა
გამეზარდაშვილი ზ., 100000000 ამოცანა პროგრამირების შემსწავლელთათვის; თბილისი, 2017;
ნინიძე მ., კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა; თბილისი, 2016.
https://saba.com.ge/books/details/4079

## სამოდელო გაკვეთილი

# პითაგორას თეორემა

### გაკვეთილის გეგმა

| | |
|---|---|
| **მასწავლებელი:** ნუემ (ნონა) აროსიანი | |
| **საგანი:** მათემატიკა | **კლასი:** VIII |
| **თემა:** პითაგორას თეორემა | **დრო:** 45წთ |
| **მოსწავლეთა პროფილი:** კლასში ირიცხება 12 მოსწავლე, სსსმ მოსწავლე არ არის. | |

**გაკვეთილის მიზანი:**
• მოსწავლე შეძლებს, პითაგორას თეორემის გამოყენებით, დამოუკიდებლად ამოხსნას პრაქტიკული ამოცანები (მაგ., იმ საგნის სიმაღლის გაზომვა, რომლის ფუძე მიუდგომელია).
• მოსწავლე შეძლებს სამკუთხედის ელემენტების ზომების მოძებნას, შეფასებას და მათ გამოყენებას პრაქტიკული პრობლემის გადაჭრისას.

**ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:**
**VIII.10.** ასაბუთებს გეომეტრიული დებულებების მართებულობას.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• იყენებს ალგებრულ გარდაქმნებს, ტოლობისა და უტოლობების თვისებებს გეომეტრიულ დებულებათა დასაბუთებისას;
• იყენებს გეომეტრიულ გარდაქმნებს და მათ კომპოზიციებს სიბრტყეზე ფიგურათა შორის მიმართების (მაგალითად, ტოლობის) დასაბუთებისთვის.

**საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:** რიცხვის კვადრატი, შემოკლებული გამრავლების ფორმულები, კერძოდ, ჯამის კვადრატი, მათემატიკური მოქმედებები. ყოფენ სამკუთხედებს კლასიფიკაციის მიხედვით, არჩევენ კუთხეებს და იციან მართი კუთხის პრაქტიკული გამოყენება.

**შეფასება და თვითშეფასება:** შეფასება მოხდება როგორც განმავითარებელი კომენტარებით, ასევე განმსაზღვრელი ქულებით, ანალიტიკური შეფასების რუბრიკით.

**სასწავლო მასალა და რესურსები:** სახელმძღვანელო, კალკულატორი, ბარათები დავალებებით ჯგუფური მუშაობისთვის, ფლიპჩარტი, გამოსაძახებელი ჩხირები, მუყაოს ქაღალდისგან დამზადებული სხვადასხვა ზომის მართკუთხა სამკუთხედები.

**მიმდინარეობა**

**აქტივობა №1. კითხვა-პასუხი (5წთ)**

**აქტივობის მიზანი:** წინარე ცოდნის გააქტიურება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი ფლიპჩარტზე ჩამოწერილი კითხვებით გონებრივ იერიშს ატარებს, კითხვას ის მოსწავლე პასუხობს, ვისი სახელიც წერია გამოსაძახებელ ჩხირზე

(გამოსაძახებელ ჩხირებს მასწავლებელი წინასწარ ამზადებს და ათავსებს ჭიქაში ან კონვერტში).

**აქტივობა №2. პითაგორას თეორემის დამტკიცება (12წთ)**

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლე, დასაბუთების გზით, დაადგენს კავშირს მართკუთხა სამკუთხედის გვერდებს შორის. შეძლებს პითაგორას თეორემის სხვადასხვა გზით დამტკიცებას.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ჯგუფებში ეძლევათ დავალება, გაზომონ მუყაოს ქაღალდებისაგან დამზადებული მართკუთხა სამკუთხედების კათეტების და ჰიპოტენუზის სიგრძე, გამოთვალონ კათეტების და ჰიპოტენუზის კვადრატი და შეადარონ. მოსწავლეები აკეთებენ შესაბამის დასკვნებს.

**აქტივობა №3. ამოცანების ამოხსნა**

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლე შეძლებს, პითაგორას თეორემის გამოყენებით, დამოუკიდებლად ამოხსნას პრაქტიკული ამოცანები.

**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები, სამზე გადათვლით, გაიყოფიან სამ ჯგუფად. პირველი და მესამე ჯგუფი ამოხსნის „სათევზაო გემის“ ამოცანას, მეორე ჯგუფი – „ხალიჩის“ ამოცანას. შესაბამის ნახაზებსა და ამოცანების ამოხსნებს ჯგუფები გადაიტანენ ფლიპჩარტზე და გააკეთებენ პრეზენტაციას. შედეგებს განიხილავენ მასწავლებელთან ერთად.

**აქტივობა №4. რეფლექსია**

**აქტივობის მიზანი:** შედეგის შეფასება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებლის თხოვნით, სამი ან ოთხი მოსწავლე აკეთებს გაკვეთილის რეფლექსიას (ზეპირად). თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ერთი წუთი. ყოველი მომდევნო მოსწავლე ასახელებს მისთვის მნიშვნელოვან ერთ საკითხს, რომელიც ყველაზე საინტერესოდ მიიჩნია. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, აფასებს მოსწავლეებს და დაფაზე აკრავს საშინაო დავალებას.

ნონა აროსიანი
*სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. წერეთლის საჯარო სკოლა*

# Պյութագորասի թեորեմ

### Դասի պլան

| | |
|---|---|
| **ՈՒսուցիչ** //////////// | |
| **Առարկան** `մաթեմատիկա | **Դասարան** VIII |
| **Թեմա**` Պյութագորասի թեորեմ | **Ժամանակը** ` 45րոպե |
| **Աշակերտների պրոֆիլը**` 12 աշակերտ հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտ չկա | |

**Դասի նպատակը** `
Աշակերտը
• Կիրառելով Պյութագորասի թեորեմը կարող է ինքնուրույն լուծել գործնական խնդիրներ, (օր չափել այն մարմնի բարձրությունը ,որի հիմքը անհասանելի է)
• Կարող է գտնել եռանկյան տարերի չափերը,գնահատել և կիրառել հիմնախնդիրները լուծելու ժամանակ

**Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչ**
**Մաթ. VIII.10. Աշակերտը կարող է հիմնավորել երկրաչափական դրույթների ճշմարտացիությունը:**
• Երկրաչափական դրույթները հիմնավորելիս` կիրառում է հանրահաշվական վերափոխումները, հավասարությունների և անհավասարությունների հատկությունները:
• Հարթության վրա պատկերների միջև հարաբերակցությունները (օրինակ, հավասարությունը) հիմնավորելու համար կիրառում է երկրաչափական վերափոխումները:

**Անհրաժեշտ նախնական գիտելիք և կարողություն**
Գիտեն թվի քառակուսի, կրճատ բազմապատկման բանաձևերը մասնավորապես գումարի քառակուսին, մաթեմատիկական գործողությունները, կարող են դասակարգել եռանկյունները ըստ անկյունների, կողմերի և գիտեն ուղիղ անկյան գործնական կիրառությունը:

**Գնահատում և ինքնագնահատում**
Գնահատումը տեղի կունենա ինչպես զարգացնող մեկնաբանություններով, այնպես էլ որոշիչ բալերով, վերլուծաբանական խորագրով:

**Ուսումնական նյութերը և ռեսուրսները**
Դասագիրք, հաշվիչ, քարտեր առաջադրանքներով խմբային աշխատանքի համար, ֆլիպչարտ, փայտիկներ աշակերտների անուններով, ստվարաթղթից պատրաստված տարբեր չափերի ուղղանկյուն եռանկյուններ:

**Ընթացքը**

**Ակտիվություն №1 Հարց, պատասխան, (5 րոպե)**

**Ակտիվության նպատակը** `Նախնական գիտելիքի ակտիվացում,

**Ակտիվության նկարագիրը** `Ուսուցիչը ֆլիպչարտի վրա գրված հարցերի միջոցով անցկացնում է մտավոր գրոհ ,հարցին պատասխանում է այն աշակերտը ում անունը գրված է ուսուցչի կողմից պատահական վերցրած ձողիկի վրա, (աշակերտների անուններով ձողիկները ուսուցիչը նախօրոք պատրաստում և և տեղադրում է ծրարի կամ բաժակի մեջ)

**Ակտիվություն №2 Պյութագորասի թեորեմի ապացուցում (12րոպե)**

**Ակտիվության նպատակը** ` Աշակերտը կարող է սահմանել կապը ուղղանկյուն եռանկյան կողմերի միջև: Կարող է ապացուցել Պյութագորասի թեորեմը տարբեր եղանակներով:

**Ակտիվության նկարագիրը**` Աշակերտներին խմբերում տրվում է հանձնարարություն չափել ստվարաթղթից պատրաստված ուղղանկյուն եռանկյունների էջերի և ներքնաձիգի երկարությունները ,հաշվել էջերի և ներքնաձիգի քառակուսիները և համեմատել :Աշակերտները անում են համապատասխան եզրակացություններ:

**Ակտիվություն №3 Խնդիրների լուծում (23 րոպե)**

**Ակտիվության նպատակը** ` Աշակերտը կարող է գտնել եռանկյան տարերի չափերը ,գնահատել և կիրառել հիմնախնդիրները լուծելու ժամանակ:

**Ակտիվության նկարագիրը**` Աշակերտները մեկից երեք հաշվարկով բաժանվում են երեք խմբի, առաջին և երրորդ խմբերը լուծում են ձկնորսական նավակի խնդիրը, երկրորդ խումբը գորգի վերաբերյալ խնդիրը: Համապատասխան գծագրերը և լուծումները խմբերը պատկերում են ֆլիպչարտի վրա, շնորհանդես անում և արդյունքները քննարկում են ուսուցչի հետ:

**Ակտիվություն №4 Ռեֆլեքսիա, 5 րոպե**

**Ակտիվության նպատակը** ` Գնահատել արդյունքը

**Ակտիվության նկարագիրը**` երեք, չորս աշակերտ բանավոր ամփոփում են դասը, յուրաքանչյուր աշակերտին տրվում է ուղիղ մեկ րոպե, ամեն հաջորդ աշակերտ լրացնում է նախորդին` նշելով մեկ կարևոր հարց, որ մտապահել են դասից: Ուսուցիչը ինքն էլ է ամփոփում դասը և գրատախտակին փակցնում տնային առաջադրանքը:

*Նոնա Արոսյան*

## იურისტის კონსულტაცია

# *Իրավաբանի խորհրդատվություն*

***Ես գործող ուսուցիչ եմ, և ինձ շնորհվել է դոկտորի ակադեմիական աստիճան: Բավակա՞ն է արդյոք նշվածը նրա համար, որ ինձ շնորհվի ավագ ուսուցչի կարգավիճակ:***

Ուսուցչի մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեման սահմանում է, որ ավագ ուսուցչի կարգավիճակի ձեռքբերման համար ուսուցչին պետք է շնորհվի դոկտորի կամ դրա հետ հավասարեցված ակադեմիական աստիճան կրթական գիտությունների ուղղությամբ, կամ` այն բնագավառից/մասնագիտությունից, որի համապատասխան առարկա նա դասավանդում է հանրակրթական հաստատությունում: Ուստի անհրաժեշտ է, որ ձեզ դոկտորի ակադեմիական աստիճան շնորհվի այն բնագավառից, որ առարկան դուք դասավանդում եք:

***Ես ռուսաց լեզվի ուսուցիչ եմ, դասավանդում եմ հանրային դպրոցում, որտեղ գործում է ռուսական բաժին: Վրացական բաժնում դասավանդման համար ինձ տրվում է հավաստագրման հավելավճար, սակայն ռուսական բաժնում, որտեղ ես դասավանդում եմ «Ռուսերենը, որպես մայրենի լեզու» նույն հավելավճարն ինձ չի տրվում: Ինչպե՞ս վարվեմ:***

Տվյալ դեպքում, դուք դասավանդում եք երկու իրարից անկախ առարկաներ, մասնավորապես, վրացական բաժնում` «Ռուսերենը, որպես օտար լեզու», և ռուսական բաժնում` «Ռուսերենը, որպես մայրենի լեզու»: Այս վերջին առարկայից Վրաստանի կրթական համակարգում ո՛չ մինչև «Ուսուցչի մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայի» ուժի մեջ մտնելը, ո՛չ էլ այն ուժի մեջ մտնելուց հետո գոյություն չի ունեցել որևէ տեսակի քննություն և, համապատասխանաբար, ձեզ տվյալ առարկայի դասավանդման համար չի կարող տրվել հավաստագրման հավելավճար:

***Ի՞նչ իրավունքներ և պարտավորություններ ունի ուսուցիչը, երբ նա կասկածում է, որ իր աշակերտը ընտանեկան բռնության զոհ է:***

Հանրակրթության մասին Վրաստանի օրենքը հստակ սահմանում է, որ ուսուցիչը պարտավոր է դպրոցի տնօրենի կողմից սահմանված համապատասխան լիազորված անձին տեղեկատվություն տրամադրելու կանանց նկատմամբ բռնության և / կամ ընտանեկան բռնության գործադրման հնարավոր փաստերի մասին, եթե գոյություն ունի բռնության կրկնության վտանգ: Նման լիազորված անձը կարող է լինել ինքը տնօրենը, մանդատային ծառայողը և այլն: Նույն

## იურისტის კონსულტაცია

պարտավորությունն է սահմանում «Երեխաների պաշտպանության դիմելիության (տեղեկացման) ընթացակարգերի հաստատման մասին» Վրաստանի կառավարության 2016 թվականի սեպտեմբերի 12-ի №437 որոշումը: Տվյալ պարտավորության չկատարումը հանգեցնում է Վրաստանի վարչական իրավախախտման օրենսգրքով սահմանված պատասխանատվության:

***Սխեմայի մեջ ընդգրկված մաթեմատիկայի ուսուցիչ եմ և ունեմ ավագ ուսուցչի կարգավիճակ, սակայն, միևնույն ժամանակ դասավանդում եմ ֆիզիկա և ցանկանում եմ, որ այս առարկայից ևս ինձ շնորհվի ավագ ուսուցչի կարգավիճակ: Ավարտել եմ ֆիզիկա-մաթեմատիկայի ֆակուլտետ, մասնագիտացմամբ մաթեմատիկոս եմ: Ինչպե՞ս պետք է վարվեմ:***

Այս դեպքում կարևորն այն է, թե ինչ կրթություն ունեք: Եթե դուք մասնագիտացմամբ ֆիզիկայի մասնագետ չեք, որպեսզի դառնաք ավագ ուսուցիչ, ի տարբերություն սովորական կարգի, առարկայական իրավասությունների հավաստման ժամանակ պետք է կուտակեք առնվազն 10 կրեդիտ-միավոր: Այլ սահմանափակում տվյալ դեպքում գոյություն չունի:

***Որքանո՞վ կարևոր է այն աշխատանքային պայմանագրի բովանդակությունը, որը ձևակերպվում է հանրային դպրոցի և ուսուցչի միջև:***

Աշխատանքային պայմանագիրը կողմերի միջև աշխատանքային պայմանների և իրավունքների ու պարտականությունների սահմանման միջոց է: Սակայն, աշխատանքային պայմանագիրը հանդիսանում է պայմանագրի կոնկրետ տեսակ, որտեղ գործատուն հանդիսանում է համեմատաբար ուժեղ կողմը, իսկ աշխատողը՝ ստորադասը: Այսպիսով, բնականաբար, կարևոր է այն, թե ինչ կգրվի պայմանագրում: Սակայն, այն դեպքում, եթե համաձայնեցված պայմանները միանշանակ հակասում են Աշխատանքային օրենսգրքին կամ աշխատանքային հարաբերությունները կանոնակարգող այլ նորմատիվ ակտերի և միջազգային պայմանագրերով սահմանված կանոնակարգումներին, նման պայմանագիրը կհամարվի առոչինչ: Բացի այդ, Աշխատանքային իրավունքում գործում է «Աշխատողի օգտակար կանոնների առավելության սկզբունքը / ULTIMA RATIO», որը գործատուի համար հանդիսանում է «կաշկանդող ուժ»: Եթե նա նույնիսկ կարողանա աշխատողին համաձայնեցնել շահագործող աշխատանքային պայմաններին, ապագայում, վեճի դեպքում, նման համաձայնագիրը առոչինչ կհամարվի:

Ցավոք, ուսուցիչները հաճախ ունեն այնպիսի զգացողություն, որ եթե նրանք ստորագրել են աշխատանքային պայմանագիր, դա նրանց զրկում է անընդունելի աշխատանքային պայմանների հետ կապված բողոք արտահայտելու իրավունքից, և շատ դեպքերում նրանք չեն էլ փորձում պաշտպանել իրենց իրավունքները: Սա վերաբերում է ոչ միայն հանրային դպրոցի ուսուցիչներին, այլև՝ նախադպրոցական դաստիարակության հաստատությունում աշխատող անձանց:

***Նյութը պատրաստվել է Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան Մեգի Սականդելիձեի կողմից***

**Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի**

---

***ვარ პრაქტიკოსი მასწავლებელი და მომენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ მომენიჭოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი?***

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა განსაზღვრავს, რომ უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მასწავლებელს უნდა მიენიჭოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, განათლების მეცნიერებების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხი მოგენიჭოთ იმ დარგში რომელ საგანსაც ასწავლით.

***ვარ რუსული ენის პედაგოგი, ვასწავლი საჯარო სკოლაში სადაც ფუნქციონირებს რუსული სექტორი. ქართულ სექტორში სწავლებისათვის მეძლევა სერტიფიცირების დანამატი, თუმცა რუსულ სექტორში, სადაც ვასწავლი „რუსულს, როგორც მშობლიურ ენას“ იგივე დანამატი არ მეძლევა, როგორ მოვიქცე?***

მოცემულ შემთხვევაში, თქვენ ასწავლით ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგანს, კერძოდ, ქართულ სექტორში – „რუსული, როგორც უცხოური ენა“ და რუსულ სექტორში – „რუსული, როგორც მშობლიური ენა“. ამ უკანასკნელ საგანში არც „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ამოქმედებამდე და არც მას შემდეგ არ არსებობდა რაიმე სახის გამოცდა და შესაბამისად სასერტიფიკაციო დანამატიც **ვერ მოგეცემათ მისი სწავლებისათვის.**

***რა უფლებები და ვალდებულებები ეკისრება მასწავლებელს, როდესაც აქვს ეჭვი, რომ მისი მოსწავლე ოჯახური ძალადობის მსხვერპლია?***

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ მასწავლებელი ვალდებულია, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ამგვარი უფლებამოსილი პირი შესაძლოა იყოს თავად დირექტორი, მანდატური და ა.შ. იმავე ვალდებულებას ადგენს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

***ვარ სქემაში ჩართული მათემატიკის მასწავლებელი და მაქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა, იმავდროულად, ვასწავლი ფიზიკას და მსურს, ამ საგანშიც მომენიჭოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. დამთავრებული მაქვს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სპეციალობა – მათემატიკოსი. როგორ უნდა მოვიქცე?***

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, თუ რა განათლება გაქვთ – თუ თქვენ პროფესიით არ ხართ ფიზიკის სპეციალისტი, იმისათვის, რომ გახდეთ უფროსი მასწავლებელი, ჩვეულებრივი წესისაგან განსხვავებით, საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისას, უნდა დააგროვოთ, მინიმუმ, 10 კრედიტქულა, სხვა შეზღუდვა მოცემულ შემთხვევაში არ არის.

***რამდენად მნიშვნელოვანია იმ შრომითი ხელშეკრულების შინაარსი, რომელიც საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის ფორმდება?***

შრომითი ხელშეკრულება არის მხარეთა შორის შრომითი პირობებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრის საშუალება. თუმცა, შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულების სპეციფიკურ სახეს, სადაც დამსაქმებელი წარმოადგენს შედარებით ძლიერ მხარეს, ხოლო დასაქმებული – დაქვემდებარებულს. ამდენად, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ის, თუ რა ჩაიწერება ხელშეკრულებაში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებული პირობები ცალსახად ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს ან შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ სხვა ნორმატიულ აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ რეგულაციებს, ამგვარი შეთანხმება ბათილად ჩაითვლება. გარდა ამისა, შრომის სამართალში მოქმედებს „დასაქმებულის სასარგებლო წესთა უპირატესობის პრინციპი/ULTIMA RATIO“, რომელიც დამსაქმებლისთვის წარმოადგენს ერთგვარ „მბოჭავ ძალას“, თუნდაც მან შეძლოს დასაქმებულის დათანხმება კაბალურ შრომის პირობებზე, მომავალში, დავის შემთხვევაში, ამგვარი შეთანხმება ბათილი იქნება.

სამწუხაროდ, პედაგოგებს ხშირად აქვთ განცდა, რომ თუ მათ მოაწერეს შრომით ხელშეკრულებას ხელი, ეს მათ ართმევს უფლებას, გამოთქვან პრეტენზია მიუღებელ შრომით პირობებთან დაკავშირებით და, ხშირ შემთხვევაში, არც კი ცდილობენ დაიცვან თავიანთი უფლება. ეს ეხება არა მარტო საჯარო სკოლის მასწავლებლებს, არამედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებულ პირებსაც.

*მასალა მოამზადა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტმა, მეგი საკანდელიძემ*

---

## Hüquqşünas məsləhəti

***Təcrübəçi müəlliməm və mənə doktor akademik dərəcəsi verilmişdir, mənə baş müəllim statusunun verilməsi üçün yuxarıda qeyd edilən kifayət edirmi?***

Müəllimlərin Peşəkar İnkişafı və Karyera İrəliləyişi Sxemi müəyyən edir ki, baş müəllim statusunu əldə etmək üçün müəllimə ümumtəhsil müəssisəsində müvafiq fənni tədris etdiyi təhsil elmləri istiqamətində və ya sahəsində doktor və ya ona bərabərləşdirilmiş akademik dərəcə verilməlidir. Müvafiq olaraq, sizə doktor akademik dərəcəsi tədris etdiyiniz sahədə verilməlidir.

***Rus dili müəllimiyəm, nəzdində rus şöbəsinin fəaliyyət göstərdiyi ictimai məktəbdə müəllim işləyirəm. Gürcü şöbəsində tədris üçün mənə sertifikat üzrə əlavə verilir, amma "Ana dili kimi, rus dilini" tədris etdiyim rus şöbəsində sözügedən əlavə verilmir. Nə etməliyəm?***

Verilən halda, siz bir-birindən fərqli iki müstəqil fənni tədris edirsiniz, xüsusilə də gürcü şöbəsində - "Rus dili, xarici dil kimi" və rus şöbəsində "Rus dili, ana dili kimi". Bu sonuncu fəndə nə "Müəllimlərin Peşəkar İnkişafı və Karyera İrəliləyişi Sxeminin" fəaliyyətə düşməsinə qədər və nə də ki, bundan sonra hər hansı bir növdə imtahan olmamışdır və müvafiq olaraq, tədris üçün sertifikat əlavəsi də verilməyəcəkdir.

***Şagirdin ailə zorakılığı qurbanı olmasında şübhələnən müəllimə hansı hüquqlar və öhdəliklər verilir?***

Ümumi təhsil haqqında Gürcüstan qanunu birbaşa müəyyən edir ki, müəllim məktəb direktoru tərəfindən müəyyən edilmiş müvafiq səlahiyyətli şəxsə qadınlara qarşı zorakılığın və ya ailədə zorakılığın törədilməsinin mümkün faktı haqqında məlumat versin, bu zorakılığın təkrar olunmasına təhlükə olduğu halda. Direktorun özü, mandatura və s. belə bir səlahiyyətli şəxs ola bilər. Eyni öhdəliyi "Uşaqların Müdafiəsinin Referə edilməsi Prosedurlarının təsdiq edilməsi haqqında" Gürcüstan Hökumətinin 2016-cı il 12 sentyabr tarixli N437 Qərarı da təyin edir. Qeyd edilən öhdəliyin yerinə yetirilməməsi Gürcüstan İnzibati Xətalar Məcəlləsi ilə müəyyən edilmiş məsuliyyətə səbəb olur.

***Sxemə cəlb olunmuş riyaziyyat müəllimiyəm və baş müəllim statusuna malikəm. Halbuki eyni zamanda fizika fənnini də tədris edirəm və istəyirəm ki, bu fənn üzrə də baş müəllim statusunu əldə edim. Fizika-riyaziyyat fakültəsini bitirmişəm, ixtisasım – riyaziyyatdır. Nə etməliyəm?***

Verilən halda hansı təhsilinizin olması önəmlidir – ixtisasca fizika mütəxəssisi olmadığınız halda, baş müəllim olmaq üçün, adi qaydadan fərqli olaraq, fənn bilgilərinizi təsdiqlədikdə, ən azı 10 kredit bal toplamalısınız, bu halda başqa məhdudiyyət yoxdur.

***İctimai məktəb və müəllim arasında imzalanan əmək müqaviləsi nə dərəcədə önəmlidir?***

Əmək müqaviləsi tərəflər arasında əmək şərtlərinin və hüquq-öhdəliklərin müəyyn edilməsi vasitəsidir. Amma əmək müqaviləsi müqavilənin xüsusi növünü təqdim edir ki, bunda da işəgötürən nisbətən güclü tərəfi təqdim edir, işçi isə - tabe olanı. Bu halda, müqavilədə yazılanların çox önəmli olması təbiidir. Amma razılaşdırılmış şərtlər bir növdə Əmək Məcəlləsi ilə ziddiyyət təşkil edirsə və ya əmək münasibətlərini tənzimləyən başqa normativ aktlara və ya beynəlxalq müqavilələrlə təyin edilən qaydalara ziddirsə, o zaman belə bir razılaşma etibarsız sayılır. Bundan başqa, əmək qanununda "işçinin faydasına qaydaların üstünlüyü prinsipi/ ULTIMA RATIO" fəaliyyət göstərir və bu da işəgötürənin bir növ "əl-qolunu" bağlayır, hətta işəgötürən işçini əziyyətli əmək şərtlərinə razılaşdıra bilsə də, gələcəkdə, mübahisə yarandığı halda, belə bir razılaşma etibarsız sayılacaqdır.

Təəssüflər olsun ki, bir çox hallarda müəllimlər düşünürlər ki, əmək müqaviləsinə imza atdıqları halda, bu onların hüquqlarını əllərindən alır ki, qəbuledilməz əmək şərtləri ilə bağlı etirazlarını bildirsinlər və bir çox hallarda, onlar öz hüquqlarını qorumağa çalışmırlar. Bu, nəinki ictimai məktəbin müəlliminə, eləcə də məktəbəqədər işlə təmin olunmuş şəxslərə də aiddir.

***Material Gürcüstan Müəllimlərin və Alimlərin Azad Həmkarlar İttifaqının hüquqşünası, Meqi Sakanelidze tərəfindən hazırlanmışdır***

**Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova**

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

# როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გენეტიკური ამოცანების ამოხსნა

ჩემი სტატიის მიზანი საკუთარი გამოცდილების გაზიარებაა. სწავლება საინტერესო პროცესია. ამ დროს მასწავლებელი ისეთ გზებსა და სტრატეგიებს იყენებს, რომლებმაც, ურთიერთთანამშრომლობის დროს, სხვათათვის შეიძლება მნიშვნელოვანი მეთოდური ხასიათი მიიღოს. გთავაზობთ გზებსა და სტრატეგიებს, რომლებიც, ვფიქრობთ, დაეხმარება მასწავლებელს ამ საკმაოდ რთული მასალის სწავლებისას.

სტატიაში განვიხილავთ რამდენიმე ამოცანის ამოხსნის მეთოდს. თითოეულ ამოცანას ახლავს ილუსტრაცია.

**ამოცანა №1**




**კითხვები:**
1. ბეწვის როგორი შეფერილობა დომინირებს ბოცვრებში?
2. როგორია მშობელთა (P) გენოტიპები და ჰიბრიდთა I თაობის ($F_1$) გენოტიპები ბეწვის შეფერილობის მიხედვით?
3. რომელი გენეტიკური კანონზომიერებანი ვლინდება ასეთი ჰიბრიდიზაციის დროს?

**განსჯის ლოგიკა**

შეფერილობის შედარებისას მშობლებსა (P) და ჰიბრიდებში ($F_1$) ვხედავთ, რომ დომინანტური ნიშანია შავი შეფერილობა, პირველი თაობის ჰიბრიდებში ის მემკვიდრეობს.

გენოტიპების განსაზღვრისათვის ამოცანის პირობა შემდეგი ფორმით უნდა ჩავიწეროთ:

*P A ? x aa* (დომინანტური ნიშანი – A, რეცესიული – a)
$F_1$ *A ?*

თეთრი ფერის ბოცვერის გენოტიპი ცნობილია – *aa*, რადგან თეთრი ფერი რეცესიულია. შავი ფერის მდედრის გენოტიპი შეიძლება იყოს ორი სახის – *AA* და *aa*. რომ გავიგოთ, რომელი მათგანია, შემდეგნაირად ვმსჯელობთ: $F_1$-ის გენოტიპი იქმნება მდედრისა და მამრის ორგანიზმებიდან მიღებული გამეტებით. მამრისაგან შეიძლება მიიღოს რეცესიული გენი (*a*). ამოცანის პირობიდან ცნობილია, რომ $F_1$ თაობის ჰიბრიდებმა მემკვიდრეობით მიიღეს შავი შეფერილობა (დომინანტური ნიშანი), ანუ ერთი გენი, რომელიც პასუხისმგებელია ბეწვის შეფერილობაზე და თითოეული ინდივიდის გენოტიპის შემქმნელი იქნება A. აქედან გამომდინარე, $F_1$ -ის გენოტიპი იქნება *Aa*. გვრჩება მდედრის გენოტიპის გარკვევა. $F_1$-ის ყველა ინდივიდი, ბეწვის შეფერილობით, ერთნაირი იყო. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მდედრის გენოტიპი იქნება ჰომოზიგოტური (დომინანტური ალელებით) *AA*.

ეს განსჯა შეიძლება შევამოწმოთ, თუ შევადგენთ ბოცვრების შეჯვარების სქემებს მდედრობითი ორგანიზმის სხვადასხვა გენოტიპით: *AA* და *Aa*.

სქემა №1.
*P AA x aa*
*G* (A) (a)
$F_1$ *Aa*

სქემა №2.
*P Aa x aa*
*G* (A) (a) (a)
$F_1$ *Aa aa*

ჩანაწერებიდან ჩანს, თუ დავუშვებთ, რომ მდედრის გენოტიპი იყო *Aa*, მაშინ $F_1$ უნდა მომხდარიყო ნიშნების დათიშვა შეფარდებით 1:1 (50% – შავი ბოცვრები, 50% – თეთრი), ეს კი ეწინააღმდეგება პირობას.

**ამოცანის პასუხები:**
1. ბეწვის შავი შეფერილობა დომინირებს თეთრზე.
2. მშობელთა (*P*) გენოტიპებია: *AA*, *aa*; პირველი თაობის ჰიბრიდების ($F_1$) – *Aa*.
3. მოცემულ შემთხვევაში ვლინდება პირველი თაობის ერთგვაროვნების, დომინირების წესი.

**ამოცანა №2**




**კითხვები:**
1. ბეწვის როგორი შეფერილობა დომინირებს?
2. როგორია მშობლების (P) და ჰიბრიდთა ($F_1$) თაობის გენოტიპები ბეწვის შეფერილობის მიხედვით?
3. რომელი გენეტიკური კანონზომიერებანი ვლინდება ასეთი ჰიბრიდიზაციის დროს?

მშობლების (P) და $F_1$ თაობის ჰიბრიდების შედარებისას ჩანს, რომ შთამომავლობაში ადგილი აქვს ნიშნების (შეფერილობის) დათიშვას – გამოვლინდნენ თეთრი შეფერილობის ბოცვრები, თეთრი შეფერილობის განმსაზღვრელი გენით (მშობლებში), ეს კი იმას ნიშნავს, რომ დომინანტურია შავი შეფერილობა.

მე-2 კითხვაზე პასუხის გასაცემად ასე ვმსჯელობთ: თუ $F_1$ თაობის ჰიბრიდებში შეიმჩნევა ნიშნების დათიშვა (გამოვლინდნენ თეთრი შეფერილობის ინდივიდები), ე.ი. ერთ-ერთი მშობლის გენოტიპი იყო ჰეტეროზიგოტური – *Aa* (*A* – შავი, *a* – თეთრი). ამოცანის პირობის თანახმად, ფენოტიპების მიხედვით ნიშნების დათიშვაა 3:1, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მე-2 მშობლის გენოტიპიც ჰეტეროზიგოტურია – *Aa*, რადგან, ერთ-ერთის გენოტიპი რომ ჰომოზიგოტური დომინანტური ალელებით – *Aa* ყოფილიყო, მაშინ $F_1$-ში ნიშნების გენოტიპის მიხედვით იქნებოდა 1:1. შევამოწმოთ ჩვენი მსჯელობა სქემის შედგენით:

*P Aa x Aa*
*G A; a A; a*
$F_1$ *AA, Aa, Aa, aa.*
ფენოტიპის მიხედვით დათიშვაა 3:1;
გენოტიპის მიხედვით – 1:2:1.

**პასუხები:**
1. ბოცვრებში დომინირებს ბეწვის შავი შეფერილობა.
2. მშობელთა (*P*) გენოტიპებია: *Aa, Aa*;
ჰიბრიდების ($F_1$) გენოტიპებია: *AA, 2Aa, aa.*
3. მოცემულ შემთხვევაში გამოვლინდა ნიშნების დომინირების წესი, გამეტების სიწმინდის წესი, დათიშვის კანონი.

**ამოცანა №3**




**კითხვები:**
1. პომიდვრის როგორი ფორმა (მრგვალი თუ მსხლისებური) დომინირებს?
2. როგორი გენოტიპები აქვთ მშობლებს (P), პირველი თაობის ($F_1$) და მეორე თაობის ($F_2$) ჰიბრიდებს?
3. რომელი გენეტიკური კანონზომიერებანი ვლინდება ასეთი ჰიბრიდიზაციის დროს?

**განსჯა:** როგორც სურათიდან ჩანს, მრგვალი ფორმა დომინირებს მსხლისებურ ფორმაზე. გენოტიპების განსაზღვრისათვის უნდა ჩავწეროთ ამოცანის პირობა. პირველ რიგში, შემოვიტანოთ აღნიშვნები: *A* – მრგვალი ფორმა, *a* – მსხლისებური ფორმა. ამოცანის პირობის თანახმად:

*P A ? x aa*
*G A ? a*
$F_1$ *A?*

მსხლისებური გენოტიპი ცნობილია – *aa*, რადგან რეცესიული ნიშანია, ხოლო მრგვალი ფორმის გენოტიპი შეიძლება იყოს *AA* ან *Aa*. $F_1$ თაობაში ყველა მრგვალია, ამიტომ ერთ-ერთი ალელი იქნება *A*; აქედან გამომდინარეობს, რომ მათი გენოტიპია *Aa*. რომ გავიგოთ მეორე მშობლის გენოტიპი, უნდა ვიმსჯელოთ $F_1$ თაობის გენოტიპებით; რადგან ყველა მრგვალია $F_1$-ში, მისი გენოტიპი იქნება *AA*. $F_2$-ში მოხდა ნიშნების დათიშვა 3:1 შეფარდებით. ამიტომ მშობლიური ფორმების გენოტიპები შეიძლება იყოს *Aa*. რომ ყოფილიყო ორივე ალელით დომინანტური გენოტიპი *AA*, მაშინ დათიშვა იქნებოდა 1:1.

შევამოწმოთ სქემით:

*P AA x aa*
*G A; a;*
$F_1$ *Aa x Aa*
*G A,a; A,a*
$F_2$ *AA 2Aa aa*
გენოტიპური დათიშვა: 1:2:1;
ფენოტიპური დათიშვა: 3:1.

**პასუხები:**
1. პომიდვრის მრგვალი ფორმა დომინირებს მსხლისებურზე.
2. მშობელთა გენოტიპებია *AA, aa*; პირველი თაობის $F_1$ ჰიბრიდთა გენოტიპია *Aa*; $F_2$ თაობის გენოტიპები – *AA* (25%); *Aa* (50%), *aa* (25%).
3. მოცემულ შემთხვევაში გამოვლინდა დომინირების წესი, გამეტების სიწმინდის წესი, დათიშვის კანონი.

**ამოცანა №4**




**კითხვები:**
1. როგორი გენოტიპები აქვთ მშობლიურ (P) ფორმებს, პირველი თაობის ჰიბრიდებს ($F_1$), თუკი ნაყოფის მრგვალი ფორმა დომინირებს მსხლისებურზე?
2. ახსენით, რატომ მოხდა პირველი თაობის ჰიბრიდებში ($F_1$) ნიშნების დათიშვა?

**განსჯა:** ამოცანის პირობიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი მშობლის გენოტიპია *aa* (რეცესიული ნიშანი). მეორე მშობლის გენოტიპში ცნობილია მხოლოდ ერთი ალელი – *A*. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მეორე მშობლის გენოტიპი ჰეტეროზიგოტურია – *Aa*, რადგან $F_1$-ში მოხდა დათიშვა 1:1.

შევადგინოთ სქემა:

P Aa x aa
G A, a; a
$F_1$ *Aa aa*

**პასუხები:**
1. მშობლიური ფორმების გენოტიპებია – (P) *Aa, aa*, $F_1$ ჰიბრიდების – *Aa* და *aa*.
2. პირველი ($F_1$) თაობის ჰიბრიდებში დათიშვა იმიტომ მოხდა, რომ ერთ-ერთი მშობლის გენოტიპი არის ჰეტეროზიგოტური – *Aa*, მეორის – ჰომოზიგოტური – *aa*.

**ამოცანა №5**




**კითხვები:**
1. როგორია მშობლების (P) და ჰიბრიდების ($F_1$) გენოტიპები, თუ ბარდაში ყვითელი შეფერილობა (*A*) დომინირებს მწვანეზე (*a*), გლუვი ფორმა (*B*) – დანაოჭებულზე (*b*)?
2. რატომ მოხდა პირველ ($F_1$) თაობაშივე დათიშვა?

**განსჯა:** ჩავწეროთ ამოცანის პირობა

*P aabb x A ? B ?*
$F_1$ *A ? B ? A ? bb aa B ? aabb*

ჩანს, რომ $F_1$ თაობაში ჰიბრიდებში შეინიშნება ნიშნების დათიშვა ფორმის და ფერის მიხედვით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მშობლის გენოტიპი არის ჰეტეროზიგოტური ამ ნიშნებით – *AaBb*.

შევამოწმოთ სქემით:

*P aabb x AaBb*
*G ab; AB, Ab, aB, ab*
$F_1$ *AaBb; Aabb; aaBb; aabb.*

ფენოტიპის მიხედვით დათიშვაა 1:1:1:1, გენოტიპის მიხედვითაც ანალოგიურია დათიშვა.

**პასუხები:**
1. მშობელთა გენოტიპებია: *aabb* და *AaBb*, $F_1$ თაობის გენოტიპებია: *AaBb*, *Aabb*, *aaBb*, *aabb*.
2. პირველ თაობაშივე იმიტომ მოხდა დათიშვა, რომ ერთ-ერთი მშობლის გენოტიპია რეცესიული ჰომოზიგოტი, მეორესი – დომინანტური ჰეტეროზიგოტი.

**ამოცანა №6**




**კითხვები:**
1. როგორი გენოტიპები აქვთ მშობლიურ (*P*) ინდივიდებს, $F_1$ და $F_2$ ინდივიდებს, თუ მსხლისებური ფორმა (*b*) და ყვითელი შეფერილობა (*a*) რეცესიული ნიშნებია, მრგვალი (*B*) ფორმა და წითელი (*A*) ფერი – დომინანტური ნიშნებია.

ამოცანის პირობიდან ჩანს, რომ ერთი მშობლის გენოტიპი ჰეტეროზიგოტურია ფორმის მიხედვით, მეორე – ფერის მიხედვით. დომინირებს ნაყოფის მრგვალი ფორმა, რადგან $F_1$ თაობაში ყველა ნაყოფი მრგვალია, $F_2$ თაობაში მივიღეთ დათიშვა 3:1 ფორმის მიხედვით.

შევამოწმოთ სქემით:

*P Aabb x aaBB*
*G Ab, ab. aB*
$F_1$ *AaBb, aaBb x aaBb*
*G aB, ab; aB, ab*
$F_2$ *aaBB, aaBb, aaBb, aabb*

ე.ი. 75% – ყვითელი მრგვალი ნაყოფით, 25% – ყვითელი მსხლისებური ნაყოფით.

**პასუხი:**
1. მშობლიური ფორმების (P) გენოტიპებია: *Aabb* და *aaBB.*
2. $F_1$ ჰიბრიდების გენოტიპებია: *AaBb* და *aaBb.*
3. $F_2$ თაობის ჰიბრიდების გენოტიპებია: *aaBB*, *aaBb* და *aabb.*

მასწავლებლებისგან ხშირად გაგვიგია, რომ ბიოლოგიაში მოსწავლეებს ყველაზე მეტად „გენეტიკური ამოცანების“ ამოხსნა უჭირთ. ამიტომაც, ამ საკითხს უინტერესოდ უყურებენ. ჩვენს სტატიაში, ფაქტობრივად, ამოცანათა ამოხსნის ყველა ის გზა განვიხილეთ, რომელთა ცოდნა მოსწავლეებს მსგავსი ამოცანების ამოხსნის დროს დაეხმარება. უფრო მეტიც, დაინახავენ ლოგიკურ მიდგომებს და საკითხს საფუძვლიანად გაიაზრებენ. ამიტომაც ვფიქრობ, შეთავაზებული რეკომენდაციებით დაინტერესდებიან როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები.

**ეთერ გონდაური**
*არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ ბიოლოგიის უფროსი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
*1. Н. Грин, У. Стаут, Д. Тейлор – Биология, т. 3, изд. «Мир»*
*2. Биология в школе – 1988 №1, 2, 3, изд. «Школа-Пресс».*
*3. Кемп, Армс – «Введение в биологию», изд. «Мир».*

ინგლისური ენის პედაგოგთა დასახმარებლად

# თაობის სათქმელი ინგლისური ენის გაკვეთილზე




სწავლა/სწავლების პროცესისადმი ახლებური მიდგომა ისეთი მეთოდების გამოყენებაზე გვაფიქრებს, რომლებიც მოსწავლეს საგნისადმი მეტ ინტერესს გაუჩენს. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ საინტერესო, ხალისიანი და, ამავე დროს, შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილი ჩაატარო. ბევრს ვკითხულობთ აქტიური სწავლების მეთოდებზე, ვცდილობთ დავნერგოთ, თუმცა, არსებული რესურსის ფარგლებში, ხშირად ვერ ვიღებთ სასურველ შედეგს. უცხოური ენის გაკვეთილზე მნიშვნელოვანი ელემენტია, მოსწავლემ შეძლოს მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ მასალაზე დიალოგის/კომუნიკაციის წარმართვა. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სამივე საფეხურზე, თუმცა გასათვალისწინებელია სწავლების დონე, ლექსიკური მარაგი, ასაკობრივი თავისებურებები და მოსწავლეთა ინტერესები. უმჯობესია, ტექსტები ქართულ რეალობასთან იყოს ახლოს. წიგნები, რომლებითაც სკოლაში ისწავლება, არც ქართულ რეალობას და არც ასაკობრივ კატეგორიებს არ შეესაბამება; ტექსტები და დავალებები, რომლებიც ინგლისური ენის სახელმძღვანელოებშია მოცემული, მეთოდურად გამართულია, თუმცა მოსწავლეებისთვის ნაკლებად საინტერესოა. ასეთ დროს მასწავლებლის შრომა შესაძლებელია ფუჭი იყოს. ამიტომ ვცდილობთ გონებრივი იერიშით მოსწავლეთათვის საინტერესო თემების შერჩევას და მხოლოდ ამის შემდეგ მასალის მოძიებასა და აქტივობების დაგეგმვას. ჩვენი მიზანია, მოსწავლემ უცხოურ ენაზე გამართული საუბარი შეძლოს, უმჯობესია, გაკვეთილზე ინგლისურად ისაუბრონ, ამიტომ, მოსწავლეებთან შეთანხმებით, ვარჩევთ საკითხავ მასალას და შემდეგ ვსაუბრობთ წაკითხული წიგნის ირგვლივ. მაგალითად, ვიყენებ აქტივობას – ანალიტიკური კომენტარი – „ფიქრები ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ“. მე-10 კლასის მოსწავლეებმა სადისკუსიო თემად ჯერომ სელინჯერის მოთხრობა ,,თამაში ჭვავის ყანაში“ აირჩიეს. დავინტერესდი, რატომ მაინცდამაინც „თამაში ჭვავის ყანაში“? დისკუსიისას მთავარ სატკივარს, თაობის სატკივარს აეხადა ფარდა, რადგან რომანის მთავარი გმირი, ჰოლდენ კოლფილდი ხომ მათი თაობის სათქმელს გამოხატავს.

ჯერომ დევიდ სელინჯერმა თავისი საეტაპო რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ ზრდასრული მკითხველისთვის დაწერა, თუმცა გაუცხოების, უმანკოებისა და ამბოხების თემებმა ეს წიგნი საოცრად პოპულარული გახადა სხვადასხვა ქვეყნის თინეიჯერებს შორის. ფილოლოგი მალხაზ ხარბედიაც, რომელიც რომანს „თამაში ჭვავის ყანაში“ მეოცე საუკუნის ყველაზე გამორჩეულ ნაწარმოებს უწოდებს, ამბობს, რომ ამ ტექსტით სელინჯერმა დასავლურ კულტურაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს – მეამბოხეების პერიოდს – ჩაუყარა საფუძველი: *„ის, თავისი არსით, ასე ვთქვათ, ტრადიციულიც არის, – მას „აღზრდის რომანი“ შეგვიძლია ვუწოდოთ“.*

ჰოლდენი 16 წლის ბიჭია, რომელსაც პრესტიჟული სკოლიდან რიცხავენ და ნიუ-იორკში გადაწყვეტს გაქცევას. ის სამი დღის განმავლობაში დახეტიალობს ქალაქის ქუჩებში, ხვდება ბევრ ადამიანს – მეძავს, ყოფილ მასწავლებელს, გოგოს, რომელიც ცოტათი მოსწონს, და სხვებს. საკუთარი იდენტობისა თუ სიყვარულის ძიებას იგი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ სამყარო „მატყუარებისა“ და „გაიძვერების“ ხელშია. შვებას ჰოლდენი მხოლოდ თავისი პატარა დის, ფიბის სახით პოულობს. ბავშვები და მოზარდები და მათთან უფროსების ურთიერთობა – სელინჯერის ნაწარმოებების ერთ-ერთი თანმდევი თემაა. ალბათ, ამიტომაც ითვლება, რომ, ამ მწერლის მსგავსად, ძალიან ცოტამ თუ მოახერხა თანამედროვე, ხშირად გულგრილ და ფარისევლურ რეალობაში უმანკოებისა და გულწრფელობის ასე ტრაგიკულად და გულშიჩამწვდომად ასახვა.

მე-10-11 კლასების მოსწავლეებს სიყვარულის თემაც აღელვებთ. ჰოლდენიც მათ ასაკშია, მის რომანტიკულ სიყვარულს კლავს საზოგადოება. უმანკო და სუფთა ბავშვი, სანამ მას არ გარყვნის ფლიდი საზოგადოება, ვერ ეგუება კონფორმიზმს. თვალთმაქცობა მაშინ იწყება, როცა ხვდები, რომ ამას საზოგადოება მოითხოვს შენგან. ამიტომაც ჰოლდენის გაზრდა, მისი გადასვლა ბავშვობიდან დიდობაში საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს. მას ეშინია, არ უნდა, დაემსგავოს უფროსებს, შეეგუოს ტყუილს და გახდეს ფლიდი. ჰოლდენს უნდა, დაიცვას თავისი და, ფიბი, თვალთმაქცი საზოგადოებისგან. მის წარმოდგენაში კორუმპირებული საზოგადოებისგან დაცული მხოლოდ მისი ძმა ელია, რომელიც აღარაა ცოცხალი. ის ისეთად დარჩა მოგონებებში, როგორი უმანკოც ბავშვობაში იყო. ელი ველარ გაიზრდება, მაგრამ სიკვდილი არ არის საუკეთესო გამოსავალი. სიკვდილი ტრაგედიაა, რომელიც ახლობლებს ანადგურებს. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ჯერ ფიბისა და მერე სხვა ბავშვების დაცვაა, რომ არ დაემსგავსონ უფროსებს. როგორ უნდა დავიცვათ ბავშვები? აქ ჰოლდენი ხატავს ჭვავის ყანის სურათს, რომელშიც ბავშვები თამაშობენ. მათ არ იციან იმ საფრთხის შესახებ, რომელიც იქვეა ჩასაფრებული. ესაა კლდე, საიდანაც, თამაშში გართული ბავშვი ისე შეიძლება გადაიჩეხოს, რომ დაყვირებაც ვერ მოასწროს. აი, აქ უნდა იყოს ვიღაც ისეთი უფროსი, რომელსაც ადარდებს ბავშვების ბედი. ცხადია, ჰოლდენ კოლფილდის მიერ წარმოსახული სურათი მეტაფორაა. მეტაფორაა ჭვავის ყანა, მეტაფორაა კლდეც და მეტაფორაა დამჭერი – ქეთჩერიც (catcher). ეს მეტაფორები სხვადასხვანაირად შეგვიძლია გავიგოთ. ვიღაცისთვის ადამიანი, რომელიც ბავშვებს იჭერს, იცავს ხიფათისგან, მასწავლებელია, მაგრამ – არა ჰოლდენისთვის. მისი აზრით, განათლების სისტემა ისევეა კორუმპირებული, როგორც ცხოვრება სკოლის გარეთ. არც ჭვავია ბავშვური სილაღე და უდარდელობა, ჭვავის ყანა საფრთხეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქვე კლდეა, არამედ იმიტომაც, რომ ჭვავის ყანაშია ჩასაფრებული მოულოდნელი საფრთხე, თუნდაც მას იმ კონკრეტულ მომენტში რომანტიკულ ურთიერთობას ვარქმევდეთ. ამ შემთხვევაში კი, მოსწავლეებმა მიგვანიშნეს, რომ ჩვენ, მასწავლებლები, უნდა ვიყოთ „დამჭერი მოთამაშეები ჭვავის ყანაში“.

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ ციტატების ამოწერას და შერჩეული ციტატებით ვხვდებით მათ განწყობას:

1. ,,People always clap for the wrong reasons.“

*„მე თუ მკითხავთ, ხალხი სულ რაღაც სისულელეებზე უკრავს ტაშს.“*

2. ,,Certain things they should stay the way they are. You ought to be able to stick them in one of those big glass cases and just leave them alone. I know that's impossible, but it's too bad anyway.“

*„უბრალოდ რაღაცები მაინც აჯობებდა, უცვლელი რჩებოდეს. უნდა შეიძლებოდეს რაღაცები შუშის კედლის მიღმა ჩამოალაგო და იყოს თავისთვის, უცვლელად. ვიცი შეუძლებელ რაღაცას ვითხოვ, მაგრამ ხო კარგი იქნებოდა.“*

3. ,,Among other things, you'll find that you're not the first person who was ever confused and frightened and even sickened by human behavior. You're by no means alone on that score, you'll be excited and stimulated to know. Many, many men have been just as troubled morally and spiritually as you are right now. Happily, some of them kept records of their troubles. You'll learn from them—if you want to. Just as someday, if you have something to offer, someone will learn something from you. It's a beautiful reciprocal arrangement. And it isn't education. It's history. It's poetry.“

*„მერე იმასაც მიხვდები, რომ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ადამიანურ ურთიერთობათა ბორკილებმა აუბნია თავგზა და არ იცის, საით წავიდეს. მიხვდები, რომ მარტო არა ხარ. უამრავ ვინმეს ისევე აწვალებდა ზნეობრივი თუ სულიერი პრობლემები, როგორც შენ ახლა, ჩვენდა საბედნიეროდ, ზოგმა წერილობით აღნუსხა საკუთარი განცდები და შეგიძლია მათგან ისწავლო – თუ სურვილი გექნა, რაღა თქმა უნდა. ისევე როგორც ერთ მშვენიერ დღეს სხვამ შეიძლება შენგან მიიღოს რამე. ეს რაღაც დახმარების ხელის გაწვდენასავითაა – ოღონდ ეს სასკოლო განათლება არაა – ეს ისტორიაა, ან პოეზია.“*

4. ,,I know he's dead! Don't you think I know that? I can still like him, though, can't I? Just because somebody's dead, you don't just stop liking them, for God's sake–especially if they were about a thousand times nicer than the people you know that're alive and all.“

*„მეც ვიცი რო მკვდარია! მერე რა – გგონია, ამიტო აღარ მიყვარს? ვიღაც რო აღარ არის შენთან, ეს კიდე იმას არ ნიშნავს, უცბად გაგიქრეს გრძნობა – მით უმეტეს, თუ ის ვიღაც ცოცხლად დარჩენილებზე ათასჯერ უკეთესი ვინმე იყო.“*

5. ,,Lawyers are all right, I guess – but it doesn't appeal to me," I said. "I mean they're all right if they go around saving innocent guys' lives all the time, and like that, but you don't do that kind of stuff if you're a lawyer. All you do is make a lot of dough and play golf and play bridge and buy cars and drink Martinis and look like a hot-shot. And besides. Even if you did go around saving guys' lives and all, how would you know if you did it because you really wanted to save guys' lives, or because you did it because what you really wanted to do was a terrific lawyer, with everybody slapping you on the back and congratulating you in court when the goddam trial was over, the reporters and everybody, the way it is in the dirty movies? How would you know you weren't being a phony? The trouble is, you wouldn't.“

*„ვექილებს კიდევ არა უშავს – ოღონდ რა საჩემო საქმეა. კი ბატონო, ვიღაც უდანაშაულოდ ბრალდებულს გაამართლებინებენ ხოლმე და რამე ეგეთები, ოღონდ ეგეთ რამეს მარტო კინოში აკეთებენ. ცხოვრებაში კი – ფულს. და კიდე გოლფს თამაშობენ და ბრიჯს და მარტინის ყლუწავენ და მანქანებს ყიდულობენ ყოველ ორ წელიწადს ახალს... და რო მოახერხო კიდეც ვინმეს გადარჩენა, რა გარანტია გაქ რო სწორედ მაგიტო არ აკეთებ – იმიტო, ბოლოს რო ყველამ ტაში დაგიკრას და მხარზე ხელი გიტყაპუნოს და გილოცავდნენ პროცესის მერე და რეპორტიორები გარშემო და მთელი ამბავი, როგორც იმ კინოებშია? რა იცი რო საკუთარ თავს არ ატყუებ? რით მიხვდები? ვერაფრით.“*

6. ,,People coming and putting a bunch of flowers on your stomach on Sunday, and all that crap. Who wants flowers when you're dead? Nobody.“

*„ივლის მერე ხალხი და ზედ სტომაქზე დამაყრიან ხოლმე ყვავილებს, კვირადღეობით. არა, რო მოკვდები რაღა ჩემ ფეხებად მინდა? არაფრად. რო მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი.“*

7. ,,Anyway, I keep picturing all these little kids playing some game in this big field of rye and all. Thousands of little kids, and nobody's around — nobody big, I mean — except me. And I'm standing on the edge of some crazy cliff. What I have to do, I have to catch everybody if they start to go over the cliff — I mean if they're running and they don't look where they're going I have to come out from somewhere and catch them. That's all I do all day. I'd just be the catcher in the rye and all. I know it's crazy, but that's the only thing I'd really like to be.“

*„წარმოვიდგენდი ხოლმე რო ათასობით ბავშვი თამაშობს ჭვავის ყანაში, ერთმანეთს დასდევენ და არც ერთი უფროსი ვინმე მათთან არაა, მარტო მე ვარ იქ და ყანის მიჯნაზე, ზედ კლდის პირას ვდგავარ. იქით კიდე უფსკრულია. მთელი ჩემი საქმეც ეგ არი – რომელიმე ბავშვი რო იქით გაიქცევა, უფსკრულისაკენ, დროზე უნდა ჩავავლო ხელი და არ გავუშვა. ეგაა მთელი ჩემი საქმე – დამჭერად ვმუშაობ ჭვავის ყანაში. აი ეგ მინდა რო ვიყო. ვაფრენ, ხო იცი.“*

8. ,,Don't ever tell anybody anything. If you do, you start missing everybody.“

*„ნურავის ნურაფერს უამბობთ, თორემ მერე ყველაზე დაგწყდებათ გული.“*

დაბოლოს, ყველაზე დიდი გამოწვევა უცხოური ენის მასწავლებლებისთვის მაინც მოსწავლეთა დაინტერესებაა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ენის გაკვეთილი ნაკლებად დამღლელი და მოსწავლეების პირად ინტერესებს მორგებული იყოს, რადგან მათ მიერ არჩეული წიგნით, ერთდროულად, ორ საქმეს ვაკეთებთ, მათ სატკივარსაც ვხვდებით.

თამარ კირვალიძე
***ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი***

**გამოყენებული ლიტერატურა:**

• მალხაზ ხარბედია: „სელინჯერის თამაში ჭვავის ყანაში“
https://burusi.wordpress.com/2009/05/31/selinjer/
• თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი
15 ნოემბერი, 2013 ეკატერინე შავერდაშვილი
http://mastsavlebeli.ge/?p=3862
• ნეტა ვინ აკავებს ბავშვებს კლდის პირზე ჭვავის ყანაში?
9 თებერვალი, 2018 ნესტან რატიანი
http://mastsavlebeli.ge/?p=16894

# კონსტანტინე I დიდი და ახალი რელიგია

შიდა სტანდარტიზირებული თუ სამოდელო გაკვეთილის ჩატარება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. მოგეხსენებათ, გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებლისგან არა მარტო დროს და გამოცდილებას, არამედ ფიქრს, განსჯას, ანალიზს მოითხოვს.

ამ სტატიაში მსურს ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვის შესახებ. წარმოგიდგენთ ჩემ მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და შესაბამის რეფლექსიას. გაკვეთილი ჩავატარე VII კლასში. სამოდელო გაკვეთილის ტიპი იყო ინტეგრირებული (ისტორია-გეოგრაფია).

## გაკვეთილის გეგმა

**მასწავლებლის სახელი და გვარი:** კახაბერ ჩაკვეტაძე
**ჩატარების დრო:** ///////
**საგანი:** ისტორია
**გაკვეთილის ტიპი:** სამოდელო ინტეგრირებული (ისტორია/გეოგრაფია)
**სწავლების საფეხური/კლასი:** საბაზო/VII
**მოსწავლეთა რაოდენობა:** /////
**გაკვეთილის თემა:** კონსტანტინე I დიდი და ახალი რელიგია
**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან რატომ/როგორ მიიღეს რომაელებმა ქრისტიანობა, იმსჯელებენ კონსტანტინეპოლის ადგილმდებარეობის შესახებ და გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს, განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, ხელი შეეწყობა მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებას.

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები:**
**ისტ.VII.2.** მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა ქვეყნის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისა და გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა რუკაზე. **ინდიკატორები:**
- შესაბამისი ეპოქის ისტორიულ რუკაზე შემოხაზავს ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს და აჩვენებს მათ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-პოლიტიკურ ცენტრებს;
- რუკის გამოყენებით განსაზღვრავს მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქვეყნებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მდებარეობას;
- იყენებს პოლიტიკურ რუკას და განმარტავს პირობით ნიშნებს, რომლებითაც ხდება ტერიტორიებისა და პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების აღნიშვნა; რუკის დახმარებით მსჯელობს მსოფლიო ისტორიის ძირითად მოვლენებზე; კონტურულ რუკაზე დაიტანს ინფორმაციას სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური და კულტურული ისტორიის შესახებ.

**ისტ.VII.4.** მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში. **ინდიკატორები:**
- ინდივიდუალურად ან კლასში ჯგუფური მუშაობისას, დროის სკალაზე აღნიშნავს ისტორიისთვის, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ ან ხუთ პოლიტიკურ მოღვაწეს და კლასის წინაშე საუბრობს მათი არჩევანის მიზეზებზე;
- მოიპოვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელოსა და დამატებითი ბეჭდური მასალის/ელექტრომასალის საშუალებით) ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ და წერს თემას, რომელშიც საუბრობს მისი მოღვაწეობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე; ცხრილის საშუალებით აჯგუფებს ორი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური მოღვაწის მოტივაციასა და მიზნებს;
- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც განსხვავებულად აფასებენ ერთი და იმავე ისტორიული პიროვნების მოღვაწეობას. გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ამ განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზებთან დაკავშირებით;
- მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად, ებმება როლურ თამაშში და მსჯელობს საკლასო დადგმაში გადმოცემული ისტორიული ფაქტების შესახებ.

**გეო.VII.3.** მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სივრცეში. **ინდიკატორები:**
- იყენებს ტოპოგრაფიულ რუკას და ადგენს მარშრუტებს, ჰორიზონტალების მეშვეობით განსაზღვრავს ადგილის აბსოლუტურ და შეფარდებით სიმაღლეს, ფერდობის დახრილობას;
- მასშტაბის გამოყენებით განსაზღვრავს მანძილებს გეოგრაფიულ ობიექტებს შორის; პირობითი ნიშნების გამოყენებით ადგენს ადგილის მარტივ გეგმას; ტურისტული რუკების გამოყენებით ადგენს მარშრუტებს უცხო ქალაქში.

| | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები | სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებაში) | დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **კლასში საგაკვეთილო განწყობის შექმნა.** მასწავლებელი აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს, ხოლო შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესის მიმართ, ოღონდ მოსწავლეებმა ეს არავერბალურად (ჟესტებით, მიმიკით) უნდა გააკეთონ. | ვერბალური, არავერბალური („სხეულის ენა“) | მთელი კლასი | | 1წთ |
| 2 | **გაკვეთილი თემის, მიზნის განსაზღვრა.** მასწავლებელი მოსწავლეებს, PP საპრეზენტაციო მასალის გამოყენებით, ანახებს შემდეგ სურათებს: ბიბლია, ქრისტიანული ტაძარი, ქრისტიანული სიმბოლოები და სთხოვს დაუკვირდნენ, ამოიცნონ რა არის გამოსახული საპრეზენტაციო მასალაზე, გამოთქვან ვარაუდი, რას შეიძლება შეეხებოდეს გაკვეთილის თემა. მოსწავლეების ვარაუდების შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თემიდან გამომდინარე, განსაზღვრონ რა შეიძლება იყოს გაკვეთილის მიზანი. მიზნის განსაზღვრის შემდეგ კი, ისევ მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს და სთხოვს განსაზღვრონ დამოუკიდებლად რა უნდა გააკეთონ მათ იმისთვის, რომ გაკვეთილის მიზანი განახორციელონ. ამის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს და განუმარტავს გაკვეთილის თემას და მიზანს, ასევე, გაკვეთილის ტიპს (ინტეგრირებული), აქვე შეახსენებს ქცევის წესებს და შეფასების რუბრიკებს (დან №1). | სოკრატული დიალოგი | მთელი კლასი | PP საპრეზენტაციო მასალა, შეფასების რუბრიკები | 4წთ |
| 3 | **მოსწავლეების მიერ წინარე ცოდნის გააქტიურება.** წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს სხვადასხვა დონის და ტიპის შეკითხვებს (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით):<br>1. როდის და სად წარმოიშვა ქრისტიანობა?<br>2. რომელ ქრისტიანულ ქვეყნებს იცნობენ? | ვერბალური (კი/პა) | მთელი კლასი | | 2წთ |
| 4 | **რუკის ანალიზი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ანახებს მსოფლიო რუკას, რომელზეც აღნიშნულია მსოფლიო რელიგიები. შეახსენებს რუკის ლეგენდის წაკითხვის წესს და სთხოვს მათ, წარმოდგენილი რუკის დახმარებით, განსაზღვრონ ქვეყნები, სადაც გავრცელებულია ქრისტიანობა. | რუკის ანალიზი | მთელი კლასი | მსოფლიო რუკა (რელიგიები) | 2წთ |
| 5 | **მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ახსნა.** მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება კონსტანტინე I დიდის, რომის გაქრისტიანების და კონსტანტინეპოლის დაარსების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს, თუ როგორ მოხდა რომაელების გაქრისტიანება. მოკლე ისტორიულ პარალელებს გაავლებს ქართლის გაქრისტიანებასთან. | ინტერაქტიული მინი-ლექცია | მთელი კლასი | თემატური რუკა, PP საპრეზენტაციო მასალა | 5წთ |
| 6 | **მოსწავლეების მიერ კონსტანტინეპოლის გეოგრაფიული დაახასიათება.** მასწავლებელი ქმნის 2 ჯგუფს და მოსწავლეებს ურიგებს დავალებას – მათ რუკაზე უნდა მონახონ:<br>1. დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერია<br>2. სად მდებარეობდა კონსტანტინეპოლი?<br>3. რატომ აირჩია კონსტანტინემ დედაქალაქად კონსტანტინეპოლი?<br>4. რუკის მიხევით დაახასიათონ კონსტანტინეპოლი<br>5. განსაზღვრონ დღეს რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაშია კონსტანტინეპოლი და რა ჰქვია მას?<br>6. რუკის მიხედვით იმსჯელონ, შეიძლებოდა თუ არა, რომს და ქართლს ერთმანეთთან ჰქონოდათ გარკვეული ურთიერთობა და რა სახის შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ურთიერთობა? (დან №2) | რუკის ანალიზი | ჯგუფური მუშაობა | მსოფლიო პოლიტიკური რუკა, თემატური რუკა (რომის იმპერია) | 5წთ |
| 7 | **ახალი მასალის სიღრმისეული წვდომა.** მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია. ერთი ჯგუფის პრეზენტატორი ატარებს პრეზენტაციას, ხოლო მეორე ჯგუფის პრეზენტატორი პრეზენტაციას ახალი მასალით ავსებს. | პრეზენტაცია | ინდივიდუალური | | 4წთ |
| 8 | **მოსწავლეებში მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა.** მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს სამუშაო ფურცლებს და მისცემს ინსტრუქციას. მოსწავლეებმა უნდა ნახონ ანიმაციური ფილმი და შეავსონ კოგნიტური სქემა. მოსწავლეები ნახავენ ანიმაციურ ფილმს (დან №3) http://net.adjara.com/Movie/main?id=7107&q=SD&s=Georgian | | მთელი კლასი | კოგნიტური სქემა, ანიმაციური ფილმი, კომპიუტერი, პროექტორი | 9წთ |
| 9 | **მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია.** ერთი ჯგუფის პრეზენტატორი აკეთებს პრეზენტაციას, ხოლო მეორე ჯგუფის პრეზენტატორი პრეზენტაციას ახალი მასალით ავსებს. | პრეზენტაცია | ინდივიდუალური | კოგნიტური სქემა | 3წთ |
| 10 | **გაკვეთილის შეჯამება.** გაკვეთილის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ კროსვორდი, რომელიც მასწავლებლის მიერ წინასწარ არის შედგენილი (დან №4). | დამოუკიდებელი წერა | მთელი კლასი | კროსვორდი | 3წთ |
| 11 | **გაკვეთილის შეფასება** (განმავითარებელი შეფასება. მასწავლებელი კლასს/მოსწავლეს განმავითარებელ შეფასებას მისცემს ეტაპობრივად, ყველა ძირითადი აქტივობის შემდეგ). | მინი-ლექცია | მთელი კლასი | შეფასების რუბრიკა | 5წთ |
| 12 | **საშინაო დავალების განსაზღვრა** | ახსნა-განმარტება | მთელი კლასი | | 1წთ |

**შეფასების რუბრიკები:** ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა (დან. №1)

| კრიტერიუმი | მაღალი | საშუალოზე მაღალი | საშუალო | საშუალოზე დაბალი | დაბალი |
|---|---|---|---|---|---|
| **ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება** | ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა. | ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა, იშვიათად სჭირდებათ სამუშაოს დაკონკრეტება. | ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა, სჭირდებათ სამუშაოს დაკონკრეტება. | ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა. | ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა. |

## სამოდელო გაკვეთილი

| კრიტერიუმი | მაღალი | საშუალოზე მაღალი | საშუალო | საშუალოზე დაბალი | დაბალი |
|---|---|---|---|---|---|
| **სამუშაოს ორგანიზება** | სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად (დიფერენცირებულად ან თანამშრომლობითი სწავლებისათვის) გადანაწილდა. | სამუშაო ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა. | სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა. | სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა. | სამუშაო არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა. |
| **ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი** | აქვთ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი. | აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი. | აქვთ კარგი ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი. | ნაწილობრივ აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი. | არ აქვთ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი. |
| **თანამშრომლობა** | ჯგუფის ყველა წევრი იყო რეგულარულად აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები. | ჯგუფის ყველა წევრი ხშირად იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები. | ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის, ძირითადად, იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები. | ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის, ძირითადად, ნაკლებად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები. | ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის არ იყო საქმიანი ურთიერთობები. |
| **დროის ლიმიტი** | საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს. | ცდილობენ საუკეთესოდ დაიცვან დროის ლიმიტი. | ძირითადად იცავენ დროის ლიმიტს. | უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა. | ვერ იცავენ დროის ლიმიტს. |

(დან. №2)












(დან. №3) დანართი №1.
რის შესახებ არის აღნიშნული კომიქსი?
2. რომელი პერიოდის შესახებ გვაწვდის ცნობებს კომიქსი?
3. რა თანმიმდევრობით გაიარა გზა წმ. ნინომ რომიდან მცხეთამდე?
4. რომელ წელს გამოცხადდა ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

**შეავსე ცხრილი**

| ისტორიული პიროვნებები | ტოპონიმიკა |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

### რეფლექსია

მე-7 კლასში ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი ისტორიაში. გაკვეთილის ტიპი იყო ინტეგრირებული (ისტორია და გეოგრაფია). გაკვეთილის თემა იყო: „კონსტანტინე I დიდი და ახალი რელიგია“, ხოლო მიზანი: *„მოსწავლეები გაეცნობიან რატომ/როგორ მიიღეს რომაელებმა ქრისტიანობა, იმსჯელებენ კონსტანტინეპოლის ადგილმდებარეობის შესახებ და გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს, განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, ხელი შეეწყობა მედიაწიგნიერების კომპეტენციის განვითარებას“.*

თავდაპირველად, მოსწავლეების მზაობის და მოტივაციის ამაღლების მიზნით, მათ ვკითხე, როგორი განწყობა ჰქონდათ საგაკვეთილო პროცესის მიმართ (მათ ეს უნდა გამოეხატათ არავერბალურად). მოსწავლეებმა გულღიად, პოზიტიურად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესის მიმართ, რაც ჩემთვისაც პოზიტიური მუხტი აღმოჩნდა, რათა უფრო ხალიასიანად, მოტივირებულად წამეყვანა გაკვეთილი.

გაკვეთილის თემის, მიზნის, მოსალოდნელი შედეგების, ასევე აქტივობების და მეთოდების გასაცნობად გამოვიყენე „სოკრატული დიალოგი“. მოსწავლეებს ვანახე PP საპრეზენტაციო მასალა, ვთხოვე დაკვირვებოდნენ და ამოეცნოთ რა იყო გამოსახული სლაიდებზე. მათი სავარაუდო პასუხების მოსმენის და ანალიზის შემდეგ, მოსწავლეებს განვუმარტე გაკვეთილის თემა, მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, დაგეგმილი აქტივობები და მეთოდები. აგრეთვე, შეფასების რუბრიკა (მოსწავლეებს განვუმარტე, რომ ისინი შეფასდებოდნენ მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით – ჯგუფური მუშაობისთვის).

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეებს დავუსვი სხვადასხვა დონის სააზროვნო კითხვები (ვცდილობდი დავყრდნობოდი „ბლუმის ტაქსონომიას“). მოსწავლეების პასუხები, ხშირ შემთხვევაში, არგუმენტირებული იყო, ზოგიერთი პასუხისთვის აქტიურად იყენებდნენ თემატურ რუკას.

ამის შემდეგ მოსწავლეებს, ინტერაქტიული მინი-ლექციის საშუალებით, მივაწოდე ინფორმაცია კონსტანტინე დიდის, ქრისტიანობის, რომის და ქართლის გაქრისტიანების შესახებ. შემდეგ ჯგუფებს (სულ 2 ჯგუფი მყავდა) სამუშაო მასალა დავურიგე, მივეცი მკაფიო ინსტრუქცია და განვუსაზღვრე დრო მუშაობისთვის. მოსწავლეებმა საკმაოდ წარმატებულად გაართვეს თავი დავალებას და საინტერესო პრეზენტაციები გამართეს.

შემდეგ მოსწავლეებს დავურიგე კოგნიტური სქემა, რომელიც მათ კომიქსის ყურებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა შეევსოთ (მივეცი მკაფიო ინსტრუქცია, რადგან მსგავს დავალებას ისინი პირველად ასრულებდნენ). მოსწავლეებმა დავალების შესრულება შეძლეს, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე არასრული ან არასწორი პასუხი.

ამის შემდეგ შევაჯამე გაკვეთილი, მოსწავლეებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ძირითადი თეზისები. მოსწავლეები შევაფასე მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით. ძირითადი აქცენტი გავაკეთე ჯგუფურ მუშაობაზე. ვფიქრობ, უკუკავშირი იყო სპეციფიკური, რაც მათ არსებული ხარვეზების გამოსწორებაში დაეხმარებათ (ყოველი აქტივობის შემდეგ ჯგუფებს ან მთელ კლასს ვაძლევდი განმავითარებელ შეფასებას, გამოვყოფდი – რა გააკეთეს სწორად და რა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო უფრო ხარისხიანი, საინტერესო იყოს. ზოგიერთ შემთხვევაში, უკუკავშირს აკეთებდა მოსწავლე, მაგ., რა გააკეთეს კარგად ჯგუფური მუშაობის დროს ან რა გაუჭირდათ).

ვფიქრობ, ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობებით (განსაკუთრებით: რუკის ანალიზი, კოგნიტური სქემა, არგუმენტირებული მსჯელობა...) შევძელი გაკვეთილის მიზნის განხორციელება და მივაღწიე შედეგს. ვცდილობდი და ნათლად გამომდიოდა კავშირები ისტორიასა და გეოგრაფიას შორის. გაკვეთილმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების განვითარებას (ჩემ მიერ დაგეგმილმა აქტივობებმა, მაგ., კომიქსის ყურებამ, შემდეგ მისმა ანალიზმა და კოგნიტური სქემის შევსებამ, ხელი შეუწყო ამ უნარების განვითარებას).

მიუხედავად გაკვეთილის წინასწარ დაგეგმვისა, მაინც მომიწია მის გეგმაში ცვლილების შეტანა. გაკვეთილი კი/პას მეთოდის გამოყენებით შევაჯამე და დაგეგმილი კროსვორდის შევსება გადავიტანე საშინაო დავალებად, რადგან, კროსვორდის შევსებისა და მისი ანალიზის შემთხვევაში, დრო არ მეყოფოდა მოსწავლეთა შესაფასებლად, ანუ დროის მენეჯმენტი იყო გაკვეთილის ხარვეზი, რასაც უფრო მეტი ყურადღება, მეტი მონიტორინგი, სჭირდება.

**კახაბერ ჩაკვეტაძე**
*ისტორიის წამყვანი მასწავლებელი*

***გამოყენებული ლიტერატურა***

• *ეროვნული სასწავლო გეგმა;*
• *ისტორია, მე-7 კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „კლიო“.*

## სპორტი

# ღირსეულებს ყველგან აფასებენ



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფეხბურთს პატივს სცემენ და თამაშიც უყვართ. ხშირად იმართება გამოჩენილი ქართველი ღვაწლმოსილი ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების, საზოგადო მოღვაწეების სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირები.

როგორც მოგეხსენებათ, 1960 წელს, ევროპის ჩემპიონები საფრანგეთში, პარიზში, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი გახდნენ, მათთან ერთად, კონტინენტური ფორუმის შესარჩევ ტურნირში, სერგო კოტრიკაძეც თამაშობდა.

აღნიშნულ მემორიალს ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა (ორგანიზატორები: სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – **სოლომონ ერგემლიძე**, თსსუ-ს სპორტის ცენტრის დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**). ტურნირის მთავარი მსაჯი იყო თსსუ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე**.

გთავაზობთ ფაკულტეტების 17 გუნდის ასპარეზობის დასკვნითი შეხვედრების შედეგებს:

**ნახევარფინალი:** „ელიოტი“ – „თბილისი – 88“ 1:0
„პანტერები“ – „სელესიო“ 4:2

**ფინალი:** „ელიოტი“ – „პანტერები“,
ძირითადი-დამატებითი დრო – 0:0, პენალტებით – 4:3

ტურნირის ჩემპიონი გუნდი გახდა „ელიოტი“ (გუნდის კაპიტანი – **სოსო ჯავახიშვილი**).

რაც შეეხება ინდივიდუალურ პრიზებს, მათი მფლობელები გახდნენ: საუკეთესო მეკარე – **თორნიკე ფუტკარაძე** (მედიცინის ფაკულტეტი, I კურსი); ტექნიკური მოთამაშე – **საბა სამხარაძე** (ჯანდაცვის მენეჯმენტის ფაკულტეტის I კურსი), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი (11 გოლი) – **გიორგი პაიჭაძე** (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის IV კურსი).

თსსუ ნაკრები გუნდისთვის ნიჭიერი ფეხბურთელები შეირჩა.

**ვახტანგ ბაქანიძე**





### სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი



### ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



### პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი



### ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში
წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### მასწავლებლის სამუშაო რვეული


4 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული


6 ლარი

### კათედრის გეგმის პორტფოლიო


6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი


5.50 ლარი

### ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის


14 ლარი

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში


6.50 ლარი

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40ლ

## ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.



სერიის ფასი 17.70 ლ

### პედაგოგთა დასახმარებლად



12 ლარი




10 ლარი

### არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის




პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

9 ლარი






7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის მასწავლებელთათვის



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



6 ლარი

საატესტატო გამოცდისთვის



ბიოლოგია
ლ. ბურძენიძე, ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე, ლ. ნაჭყებია

განახლებული

20 ლარი

აბიტურიენტებისთვის



განახლებული

10 ლარი

საატესტატო გამოცდისთვის

ისტორია
ნ. ახმეტელი, გ. ლორთქიფანიძე,
ნ. გურგენიძე



განახლებული

10 ლარი

ეროვნული გამოცდისთვის



10 ლარი

თამარ ბერიძე-ბერიძე
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი
(ორტომეული)



განახლებული

12 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბეჭია



განახლებული

10 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
მ. ბერიძე, ბ. ქანთარია




39.90

### „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი

**ეროვნული გამოცდების სიმულაცია**
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია



**გავიმეოროთ მათემატიკა** 19 ლარი (ერთი ცალი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგათობისა და სტატისტიკის საკითხები.

### ტესტები ქართულ ლიტერატურაში
### საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის



წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები**: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი